# საქართველოს რესპუბლიკა



დაარსებულია 1918 წელს.



ოთხშაბათი, 20 აგვისტო, 2008 წელი.

№ 155 (6013)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.





ილია II:
ასეთი განსაცდელი საქართველოს არ ჰქონია და იგი ქართველმა ხალხმა უნდა გადაიტანოს



2

იქნებ ცივილიზებულად მოისწრაფოს საპრეზიდენტო სიცოცხლე...



4

მსოფლიოს ყველაზე ხანდაზმული იმპერია დასაულელია!



7

ოლეგ ბასილაშვილი:
მრცხვენია რუსეთის გამო, მრცხვენია საქართველოს ხელისუფლების ნაცვლად



7

ლავრენტი ბერია — XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი




9


## რუსეთმა უაზრო რიტორიკისგან თავი უნდა შეიკავოს

ნატოს გენერალური მდივნის იაპ დე ჰოოპ სხეფერის შეფასებით, რუსეთი საქართველოს ტერიტორიის ოკუპაციას ახორციელებს.

ამის შესახებ სხეფერმა გუშინ ბრიუსელში, ნატოს მინისტერიალის დასრულების შემდეგ განაცხდა.

— მიმაჩნია, რომ რუსეთი ნატოსთან, ეუთოსთან და ევროკავშირთან ურთიერთობით დაინტერესებულია და მოსკოვმა ამ ორგანიზაციების პოზიცია უნდა გაითვალისწინოს. რუსეთი უნდა დაფიქრდეს, რას მოიგებს იმ ქმედებებით, რასაც დღეს ახორციელებს, კერძოდ, დამოუკიდებელი ქვეყნის ოკუპაციით,— განაცხადა სხეფერმა.

მანვე აღნიშნა, რომ პოლონეთის ტერიტორიაზე ნატოს ძალებთან დაკავშირებით რუსული მხარის პრეტენზიები მხოლოდ უაზრო რიტორიკაა.

ნატოს გენერალური მდივანი აცხადებს, რომ პოლონეთი ალიანსის წევრი სახელმწიფოა და ნატო მის ტერიტორიაზე იმ ძალებს განალაგებს, რასაც საჭიროდ მიიჩნევს.

— ეს რიტორიკა უკვე პათეტიკურ ხასიათს იძენს. ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც ნატოს წევრ სახელმწიფოს უტევენ. ეს უაზრო რიტორიკაა და რუსეთმა ამისგან თავი უნდა შეიკავოს, — განაცხადა სხეფერმა.

რუსების ჯარები უნდა გამოვიდნენ საქართველოს ტერიტორიიდან და აღდგეს ის სტატუს-კვო, რომელიც ამ კონფლიქტამდე არსებობდა. ამის შესახებ ნატოს გენერალურმა მდივანმა იაპ დე ჰოოპ სხეფერმა ალიანსის საგარეო საქმეთა მინისტრთა შეხვედრის დასრულების შემდეგ განაცხადა. მისი თქმით, მინისტერიალზე, რომელიც 4 საათის განმავლობაში გრძელდებოდა, საგარეო უწყების ხელმძღვანელებმა სრული მხარდაჭერა დააფიქსირეს საქართველოს მიმართ.

იხ. 2 გვ.

◉ სულიერება

## ილია II:

# ასეთი განსაცდელი საქართველოს არ ჰქონია და იგი ქართველმა ხალხმა უნდა გადაიტანოს



**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის განცხადებით, ასეთი განსაცდელი საქართველოს არ ჰქონია და იგი ქართველმა ხალხმა უნდა გადაიტანოს. აღნიშნული პატრიარქმა ფერისცვალების სადღესასწაულო წირვის დასრულების შემდეგ განაცხადა.**

დღესასწაულთან დაკავშირებით, ყოვლადწმინდა სამების საკათედრო ტაძარში წირვა ღამისთევით ჩატარდა. მას საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, დედაქალაქის მერი გიგი უგულავა, ვიცე-მერი მამუკა ახვლედიანი, პარლამენტარი კოზა სუხელიანი და სხვა პირები ესწრებოდნენ.

წირვის დასრულების შემდეგ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ მრევლს ქადაგებით მიმართა. მან კიდევ ერთხელ განუცხადა მორწმუნეებს, რომ არ ჩავარდნენ სასოწარკვეთილებაში და განსაცდელი დაითმინონ, რადგან ამის სანაცვლოდ უფალი საქართველოს უფრო მეტს მისცემს.

— დღეს ჩვენ განსაკუთრებით ვფიქრობთ საქართველოზე, ჩვენს მომავალზე. ჩვენ შევთხოვთ უფალს, რომ უფალმა დაამშვიდოს ჩვენი გულები და გაამთლიანოს ჩვენი ქვეყანა. ეს აუცილებლად მოხდება. განსაცდელი უნდა გადავიტანოთ. არ უნდა ჩავვარდეთ სასოწარკვეთილებაში. უიმედობაში ადამიანი არ უნდა ჩავარდეს. შესაძლოა, საქართველოს ასეთი განსაცდელი არც კი ჰქონია, მაგრამ ეს იმას ნიშნავს, რომ ამ განსაცდელის შემდეგ უფალი საქართველოსთვის დიდ წყალობას ამზადებს. ღმერთმა ინებოს და ღირსი გაგვხადოს ამ დიდი წყალობის მიღებისა და ფერისცვალების მადლი შეგწეოდეთ თქვენ და სრულიად საქართველოს, — ბრძანა უწმინდესმა.

◉ ნატოს მინისტერიალი

# რუსეთმა უაზრო რიტორიკისგან თავი უნდა შეიკავოს

(პირველი გვერდიდან)




სხეფერის თქმით, შეხვედრაზე მიიღეს გადაწყვეტილება ნატო-საქართველოს კომისიის შექმნის შესახებ, რომელიც საქართველოს მომავალ განვითარებას განიხილავს. გენერალურმა მდივანმა ასევე აღნიშნა, რომ უახლოეს დღეებში საქართველოში პირად წარმომადგენელს გააგზავნის, რათა მან საქართველოს მთავრობა ჩააყენოს საქმის კურსში, თუ რა გადაწყვეტილებები იქნება მიღებული, ამასთან, სექტემბრის სამიტზე აღნიშნულ საკითხზე საუბარი გაგრძელდება.

— ჩვენ ასევე დავამთავრებთ კონტაქტს, რათა საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან ერთად შევაფასოთ ჯარის მდგომარეობა, დავეხმარებით საჰაერო მიმოსვლისა და ინტერნეტრესურსების აღდგენაში, — განაცხადა გენერალურმა მდივანმა.

რაც შეეხება რუსულ მხარეს, სხეფერმა აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე რუსეთთან ჩვეულებრივი ურთიერთობები ვეღარ გაგრძელდება. მისი თქმით, მოსკოვთან ნატოს სამომავლო ურთიერთობები დამოკიდებული იქნება რუსეთის მიერ გადადგმულ ნაბიჯებზე.

— ამას განაპირობებს, თუ რამდენად შეასრულებს პრეზიდენტი მედვედევი სამშვიდობო გეგმის პირობებს, რაც ამ ეტაპზე აბსოლუტურად არ სრულდება. რუსეთი-ნატოს საბჭო არ გაუქმდება, თუმცა ამ სიტუაციაში არ არის საჭიროება ამ საბჭოს შეკრებისა. შემდეგი კვირის დასაწყისში შედგება ნატოსა და უკრაინის წარმომადგენლების შეხვედრა ელჩების დონეზე და აქაც წამოიწევა ეს საკითხები, — განაცხადა ალიანსის გენერალურმა მდივანმა.

◉ ინფორმაცია

## მათი ქმედებები რეაგირებისა და სანქციების გარეშე არ დარჩება

**მათიას ეორშმა საქართველოში ვიზიტისას პირველი კომენტარი თბილისის საერთაშორისო აეროპორტში გააკეთა.**

ეორშის განცხადებით, 21-ე საუკუნეში მიუღებელია, რომ ევროსაბჭოს წევრი ქვეყნის ჯარი ევროსაბჭოს მეორე წევრ სახელმწიფოში ოკუპანტია.

— ვერანაირი გამართლება ვერ ექნება იმ ფაქტს, რომ რუსეთმა მშვიდობიანი მოსახლეობა დაბომბა. დარწმუნებული ვარ, რუსეთის ქმედებები რეაგირებისა და სანქციების გარეშე არ დარჩება. 1992 წლიდან ველოდებით, როდის დაუბრუნდებიან ლტოლვილები საკუთარ სახლებს, ამის ნაცვლად კი, საქართველოში უფრო მეტი დევნილი გვყავს, — აღნიშნა ეორშმა და დასძინა, რომ ევროპამ რუსეთის ქმედებები ერთხმად უნდა დაგმოს.



მათიას ეორშთან ერთად, თბილისში 3-დღიანი საგანგებო ვიზიტით ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების მიერ ვალდებულებების შესრულების კომიტეტის წარმომადგენელი კასტრიო ისლამიც ჩამოვიდა.

## ევროპარლამენტარები აფრთხილებენ

**საქართველოში მყოფი ევროპარლამენტარების განცხადებით, დასავლეთის მესიჯი რუსეთისადმი ამგვარია — ევროპა მზად არის, აიღოს პასუხისმგებლობა საქართველოში შექმნილი მდგომარეობის დარეგულირების საქმეში.**

აღნიშნული განცხადება ევროპის პარლამენტის წევრებმა ელმარ ბროკმა და ოტმარ კარასმა ევროპასთან ინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტის ხელმძღვანელთან დავით დარჩიაშვილთან შეხვედრის შემდეგ გააკეთეს.

ევროპარლამენტარმა ელმარ ბროკმა აღნიშნა, რომ ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოში საერთაშორისო დამკვირვებლებისა და საერთაშორისო სამშვიდობო მისიის უსწრაფესად გამოგზავნა, ასევე, საქართველოს ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესის დაჩქარება.

## კონგრესი მილიონი დოლარით მოგვიმართავს ხელს

**სენატის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ, სენატორ-დემოკრატმა ჯოზეფ ბაიდენმა განაცხადა, რომ აშშ-ის კონგრესს სასწრაფოდ მოსთხოვს საქართველოსთვის დახმარებას ერთი მილიარდი დოლარის ოდენობით.**

— როდესაც კონგრესი ისევ შეიკრიბება, მე ვიმუშავებ ადმინისტრაციასთან, რათა მივაღწიო შეთანხმებას საქართველოსთვის სასწრაფო დახმარების, ერთი მილიარდი დოლარის გამოყოფის შესახებ, — განაცხადა საქართველოდან ამერიკაში დაბრუნებულმა სენატორმა.

სენატის კომიტეტის მეთაურმა განაცხადა, რომ ამერიკა დაეხმარება ქართულ საზოგადოებას, აღადგინოს საკუთარი ქვეყანა და ჩვეულ რეჟიმში ამუშაოს დემოკრატიული ინსტიტუტები.

ბაიდენმა ეს განცხადება მას შემდეგ გაავრცელა, რაც საქართველოში პრეზიდენტის სპეციალური მოწვევით იმყოფებოდა. სენატის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე თბილისში შეხვდა როგორც მიხეილ სააკაშვილს, ასევე პრემიერ-მინისტრ ვლადიმერ გურგენიძეს, პარლამენტი თავმჯდომარეს დავით ბაქრაძესა და ამერიკის ელჩს საქართველოში ჯონ ტეფტს.

## გაერო 57 მილიონი დოლარით შეგვეწევა

**გაერო საქართველოს დასახმარებლად 57 მილიონი აშშ დოლარის მობილიზებას ცდილობს.**

სასტუმრო „თბილისი მარიოტში“ გუშინ დონორებისადმი გაეროს მიწოდების მიმართვის პრეზენტაცია გაიმართა, რომლის მიზანი საქართველოსთვის გადაუდებელი ჰუმანიტარული დახმარების აღმოსაჩენად 57 მილიონი აშშ დოლარის მობილიზებაა.

დახმარება გათვალისწინებულია კონფლიქტის შედეგად დაზარალებული 128 700 ადამიანისათვის და გაგრძელდება ექვსი თვის განმავლობაში.

პრეზენტაციას გაეროს მუდმივი კოორდინატორი საქართველოში რობერტ უოთკინსი, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ვლადიმერ გურგენიძე და საქართველოს ჯანდაცვის მინისტრი ალექსანდრე კვიტაშვილი დაესწრნენ.

რობერტ უოთკინსის განცხადებით, აღნიშნული ფინანსური რესურსები კრიზისის დასაძლევად აუცილებელი თანხების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს, მაგრამ დონორთა შემდგომი დახმარება დიდად წაადგება კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ადამიანთა ძირეულ საჭიროებებს.

## აშშ საოკუპაციო ჯარების გაყვანას ეჭვქვეშ აყენებს

**აშშ-ში საქართველოს ტერიტორიიდან რუსული ჯარების გაყვანის ნაბიჯებს ვერ ხედავენ. ამის შესახებ „ასოშიეიტედ პრესს“ აშშ-ს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა განუცხადა.**

— ჩვენ ვაგრძელებთ სიტუაციაზე დაკვირვებას, ამ დროისთვის ჩვენ ვერ ვხედავთ ვერანაირ ნაბიჯებს იმისთვის, რომ რუსეთი საქართველოდან ჯარების გაყვანას იწყებს, — განუცხადა სააგენტოს აშშ-ს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა.

ამასთან, თეთრი სახლი მოითხოვს, რუსულმა ჯარებმა საქართველოს ტერიტორია დაუყოვნებლივ დატოვონ. ამის შესახებ თეთრი სახლის პრესსპიკერმა გორდონ ჯონდრომ განაცხადა.

## ფოთში ორი ხომალდი ააფეთქეს

**რუსულმა საოკუპაციო ჯარებმა ფოთში სანაპირო დაცვის ხომალდი „აიეტი“ ააფეთქეს.**

როგორც კორესპონდენტი ფოთიდან იტყობინება, „აიეტი“ რუსებმა რამდენიმე დღის წინათ უკვე ჩაძირეს, თუმცა, ხომალდის წინა კორპუსი წყლის ზედაპირზე იყო დარჩენილი.

გარდა ამისა, ფოთში ააფეთქეს საზღვაო ძალების კუთვნილი სადესანტო ხომალდი — ბორტი 302.

## აგრესორებმა გასვლა ორი დღით გადადეს

**რუსეთის საოკუპაციო ჯარების გასვლის თარიღი კიდევ ორი დღით გადაიდო. როგორც შიდა ქართლის რეგიონში პრეზიდენტის რწმუნებულმა ლადო ვარძელაშვილმა განაცხადა, ის შეხვდა ერთ-ერთ რუს გენერალს, რომელმაც პრეზიდენტის რწმუნებულს განუცხადა, რომ რუსულ შეიარაღებულ ძალებს საწყისი პოზიციების დასაბრუნებლად დამატებით ორი დღე დასჭირდებათ.**

პრეზიდენტის რწმუნებულის თქმით, ქალაქში ბრუნდება მშვიდობიანი მოსახლეობა, აღდგა ელექტროენერგიით მომარაგება და კომუნიკაციები. ვარძელაშვილის თქმით, მიმდინარეობს დაზიანებული სატელევიზიო ანძის აღდგენა, რის შემდეგაც გორის მოსახლეობას ტელემაუწყებლობა აღუდგება.

## აზერბაიჯანთან საზღვარი ჩაკეტეს

**რუსეთმა საქართველოსა და აზერბაიჯანთან საზღვარი ჩაკეტა ყველასთვის, გარდა დსთ-ს წევრი ქვეყნების მოქალაქეებისა.**

შესაბამის განკარგულებას რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ვლადიმერ პუტინმა უკვე მოაწერა ხელი. განკარგულებაში, რომელიც ამოქმედდა, აღნიშნულია, რომ შეზღუდვა დროებითია.

განკარგულებას პუტინმა მაშინ მოაწერა ხელი, როცა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ საქართველო დსთ-დან გამოდის.



## ქართველი ჯარისკაცები თვალახვეული წაიყვანეს

**ფოთის პორტში დაკავებული ქართველი სამხედროები რუსმა ოკუპანტებმა პორტის ტერიტორიიდან გამოიყვანეს და ზუგდიდის მიმართულებით წაიყვანეს.**

ქართველ სამხედროებს თვალები ახვეული ჰქონდათ.

პორტის ტერიტორიიდან გამოვიდა ოთხი „ბე-ტე-ერი“. რუსებს პორტიდან ჰუმანიტარული ტვირთიც გააქვთ.

**ინტერპრესნიუსისა და ჯი-ეიჩ-ენი-ს მიხედვით**

**თვალსაზრისი**

*სტატიის ავტორები არიან დევიდ ბ. რივკინ-უმცროსი და ლი ე.კეისი. რივკინი და ქეისი ვაშინგტონელი ადვოკატები არიან. 2004-2007 წლებში ისინი იყვნენ გაეროს ადამიანის უფლებებისა დ პროპაგანდის კომისიის წევრები.*

# „დაცვაზე“ საუბრით, კრემლი „რეკეტიორის“ როლში გამოდის



**საქართველოში** რუსეთის შეჭრა, გახდება ამერიკისა და გლობალური სტაბილურობის მიმართ ნდობის მომენტის გარკვევა. თუ მედვედევის რეჟიმი (უფრო სწორედ პუტინის) შეძლებს, დემოკრატიული და პროდასავლური მთავრობის ჩამოგდებას ძალის გამოყენებით. თავაისი ლიცემერულ განცხადებაზე დაყრდნობით, თითქოს საქართველოს მთავრობისგან მისი მოქალაქეების დაცვა სურს. ეს იმის წინაპირობა, გახდება, რომ მსგავსი აგრესია სხვა სახელმწიფოების მიმართაც განხორციელდება. მათ შორის ბალტიისპირეთისა და უკრაინის მიმართ, რომლებიც რუსეთს ესაზღვრებიან და თავისუფალი დასავლეთის მიმართ არიან ორიენტირებული. „11 სექტემბრის“, შემდეგ მსოფლიოს მშვიდობის საფრთხე ახალი ცივი ომის საფრთხით კიდევ უფრო გაღრმავდება.

რუსეთი ცდილობს აგრესიის ეს ფაქტი დაფაროს და შესაბამისი თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ნორმების საფარ ქვეშ მოქმედებს. რუსეთის ოფიციალური სახეები და მისი ხაზის გამტარებლები (მათ შორის მიხეილ გორბაჩოვი), საქართველოს ხელისუფლებას, სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში, მცხოვრებ რუსების საერთაშორისო ნორმების დარღვევაში უსამართლოდ ადანაშაულებენ. მათი განცხადებით ამ რეგიონებში ე.წ „რუსები“ ცხოვრობენ, იმის შედეგად რომ რუსეთის მთავრობამ ამ რეგიონში რუსული პასპორტები უკანონოდ გასცა.

პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა მოუწოდა „სისხლის სამართლის“ პასუხისმგებლობაში გადასცენ ამ ე. წ. გადამეტებაში ეჭვმიტანილები, ხოლო ვლადიმერ პუტინმა აღნიშნა, რომ თუ სადამ ჰუსეინი ჩამოახრჩვეს, მხოლოდ რამდენიმე შიიტური სოფლის გადაწვის გამო (პუტინის სიტყვები), ქართული ხელისუფლების დანაშაული უფრო მაშტაბურია. დაუნდობელი კრემლის რეალისტებმა ისწავლეს გლობალურ ჰუმანიტარული სწავლების ტერმინოლოგია.

მეფობის დროს ტერმინი „დაცვა“, ექსპანსიისათვის საყვარელი საბაბი იყო. სწორედ ის დაასახელა გერმანიამ, როცა მიიერთა 1938 წელს სუდეტები. კრემლის ამჟამინდელი მტკიცებულებები არც ისე დამაჯერებელია, როგორც 1956 წელს, უნგრეთში შეჭრის საბაბი, 1968 წელს ჩეხოსლოვაკიაში და 1979 წელს ავღანეთში. რუსეთის განცხადება, თითქოს კონფლიქტი ქართულმა მხარემ გამოიწვია, თავს დაესხა რუსეთის ჯარებს, გვახსენებს ჰიტლერის საბაბს გაემართლებინა, 1939 წელს პოლონეთში შეჭრა. მან განაცხადა, რომ თითქოს პოლონელები გერმანელებს თავს დაესხნენ. ეს განსაკუთრებით ირონიულად გამოიყურება რადგან კრემლი ცდილობს, რომ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ადოლფ ჰიტლერს შეადაროს.

ის ფაქტი, რომ რუსეთმა მოულოდნელად მოითხოვა, როგორც ის ამბობს საქართველოს სუვერენიტეტის შეზღუდვა, არ შეესაბამება მის ადრეულ განცხადებას, საქართველოს სუვერენიტეტის სიწმინდეზე და ჯიუტი დარწმუნებებით, რომ თავის ტერიტორიაზე მას შეუძლია იმოქმედებს ისე როგორც ჩათვლის საჭიროდ. რუსეთის შეშფოთება სავარაუდო სისასტიკესა და გენოციდზე აღმაშფოთებელია. რადგან რუსული მთავრობის მიერ უგულებელყოფილია სრულად რეალური გენოციდის ფაქტები, რომელსაც მისი მოკავშირეები ახორციელებდნენ ერაყსა და იუგოსლავიაში, რუანდასა და დარფურში. თვითონ მოსკოვის მხრიდან ჩეჩნეთში ჩატარებული ძალიან სასტიკი სამხედრო კამპანია.

როგორც მოსალოდნელი იყო, მედვედევი და პუტინი ამტკიცებენ, რომ მათი ქმედებები საქართველოში, დასავლეთის ქმედებისაგან ერაყსა და ყოფილ იუგოსლავიაში არაფრით განსხვავდება. ამ თეზისზე დაყრდნობით მათ მოითხოვეს სააკაშვილის გადადგომა.

მოსკოვს უნდა პროდასავლური მთავრობის გადაყენება და ახალის დანიშვნა, რომელიც რუსეთის სატელიტი გახდება. ამის გასაკეთებლად ორი გზა გამოიყენება – სამხედრო ძალის გამოყენება და აგრეთვე საქართველოს ხელისუფლების ცრუ ბრალდებებით, სამხედრო დანაშაულსა და გენოციდში დისკრედიტაცია. შესაძლოა ამ ფარდის ქვეშ რუსეთი ცდილობს საერთაშორისო ურთიერთობების ახალი წესები დაამკვიდროს. რომლის მიხედვითაც მოსკოვს, მისი შეხედულების თანახმად, შეუძლია „უახლოესი მეზობლის“ საქმეებში ჩაერიოს და ამას აშშ შორიდან დააკვირდება. ეს განცხადება ბრეჟნევის დოქტრინას გვაგონებს, რომელიც გულისხმობდა, რომ მოსკოვს თავისი იმპერიის შესანარჩუნებლად ძალის გამოყენების უფლება ჰქონდა უფლება, რომელიც XXI საუკუნეში კიდევ უფრო ყალბად ჟღერს.

საქართველოზე რუსეთის თავდასხმა, ეს არის რეალური მტრის წინააღმდეგ კიდევ უფრო დიდი კამპანიის ნაწილი. ესაა მისია, რომელიც საერთაშორისო სამართლის დამკვიდრებული პრინციპების სრული უპატივცემულობით სრულდება. ეს კამპანია, მიზნად სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ნაწილობრივ ანექსიას ისახავს, რომლებიც უნდა ჩაითვალოს „ტერიტორიებად, რომლებიც რუსული ოკუპაციის ქვეშ იმყოფებიან“ და IV ჟენევის კონვენციის თანახმად ეკუთვნით დაცვა. კამპანია აგრეთვე ბალტიის ქვეყნებზე ჰაკერების შეტევას ითვალისწინებს, დასავლეთის ქვეყნებში, სახელმწიფოს ბრძანებით, ფიზიკური პირების შეკვეთილი მკვლელობები და ეკონომიკური საშუალებით დაშინება: ასეთია უკრაინაში ან ჩეხეთში რუსული ნავთობის და გაზის მიწოდების შეწყვეტა.

ბუშის ადმინისტრაციამ, უნდა მიიღოს გადამჭრელი ზომები და კანონიერად უარყოს მოსკოვის პოლიტიკური და იურიდიული ბრალდებები და ურყევად დაიცვას სააკაშვილი. ჩვენ მკაფიოდ უნდა განვაცხადოთ, თუ რა განსხვავებაა, აშშ-ს მოქმედებაში კოსოვოს დამოუკიდებლობასთან მიმართებაში – სერბეთის ტერიტორიის სუვერენიტეტის დარღევა, რომლის მიზეზიც გახდა გენოციდი და სამხედრო დანაშაულებები, რომელიც ბელგრადის რეჟიმმა განახორციელა – და ის თუ როგორ ცინიკურად ეხმარება რუსეთი, ყოფილ საბჭოთა კავშირში შემავალ ქვეყნებში სეპარატისტებს. სახელმწიფო რომელიც ცდილობს რუსეთის იმპარიის აღდგენას. ჯონ მაკკეინმა ამ მხრივ წამოაყენა თავისი ინიციატივა, მან სასწრაფოდ გაუწოდა ხელი პრეზიდენტ სააკაშვილს და დაგმო რუსეთის მოქმედება როგორც იმპერიის შექმნის ახალი ფორმა.

შეერთებულმა შტატებმა მოსკოვის დღევანდელი მტკიცებულების უარყოფის გარდა მას ანგარიში წარსულზე უნდა წაუყენონ. მსოფლიოს უნდა შევახსენოთ, რომ რუსეთმა დღემდე არ მოინანია წარსული ცოდვები, მათ შორის 1803 და 1921 წლებში საქართველოში შეჭრა და მისი ანექსია, 1939 წელს ჰიტლერის გერმანიასთან ერთად პოლონეთში, აგრეთვე კატინის სასაკლაო, სადაც ათობით ათასი ტყვე პოლონელი ოფიცერი დაიღუპა (მკვლელობა რომელსაც რუსეთი დღესაც გერმანიას აბრალებს). რუსეთი უარს აცხადებს, წარსულში ბევრი არა რუსი ხალხის წვალებაზე პასუხი აგოს, მათ შორის ქართველების.

ამ სიტუაციაში, სასწორზე ამერიკის მიმართ ნდობა დევს. თუ ამერიკის შეერთებული შტატების ნამდვილი მეგობარი, უძველესი ქვეყანა, საქართველო ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში მოსკოვის მიერ ორჯერ იქნა ანექსირებული, საქართველო რომელმაც ენთუზიაზმით გაუწოდა ხელი ნატოსა და ევროკავშირს და გააგზავნა თავის კონტინგენტი ერაყში შეიძლება რუსეთმა დაახრჩოს. თუ ვაშინგტონი არ მიიღებს არანაირ კონკრეტულ ქმედებებს, მაშინ ამერიკასთან მეგობრობა მალე შეიცვლება და ამერიკის უკმაყოფილებას კიდევ უფრო ნაკლები მნიშვნელობა ექნება. ეს კი მთელს მსოფლიოში, ახალი ევროპის დედაქალაქიდან იერუსალიმამდე, ქაბულიდან ბაღდათამდე იქნება შესამჩნევი“.

THE WALL STREET JOURNAL

**ინფორმაცია**

## იგოეთთან ტყვეები გაცვალეს

**სოფელ იგოეთის** ხიდთან გუშინ ოფიციალურად განხორციელდა სამხედრო ტყვეთა გადაცვლა.

15 ქართველის ნაცვლად, ქართულმა მხარემ რუსეთს ხუთი ტყვე გადასცა. მათ შორის ორი მფრინავია.

15 ქართველი ტყვედან ნაწილი იმყოფებოდა ქალაქ ცხინვალში, ხოლო ნაწილი — ვლადიკავკაზში.

15-იდან ორი დაჭრილია, ისინი სასწრაფო დახმარების ბრიგადებმა თბილისის მიმართულებით წაიყვანეს.

ტყვეთა გაცვლის პროცესი ჟურნალისტებისთვის დახურული იყო. პროცესში მონაწილეობდნენ საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანი ალექსანდრე ლომაია, თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები.



როგორც ცნობილია, ქართული მხარე მზად არის, ტყვეთა გაცვლა მოხდეს პრინციპით ყველა — ყველაზე.

გათავისუფლებულ ქართველ ტყვეებთან ჟურნალისტებმა გასაუბრება მოახერხეს.

სამხედროების განცხადებით, მათი ნაწილი ვლადიკავკაზში, ნაწილი კი ცხინვალში ჰყავდათ. რაც შეეხება ორ დაჭრილ ტყვეს, ისინი ვლადიკავკაზის საავადმყოფოში მკურნალობდნენ და მათ, სხვებისგან განსხვავებით, შედარებით უკეთესად ექცეოდნენ.

ტყვეები აცხადებენ, რომ მათ როგორც რუსი სამხედროები, ასევე ოსები სცემდნენ და შეურაცხყოფას აყენებდნენ.

## რუსეთი ნელ-ნელა ექცევა საერთაშორისო იზოლაციაში

**გაეროს** ლტოლვილთა უმაღლესი კომისარი ანტონიო გუტიერესი მიიჩნევს, რომ საერთაშორისო თანამეგობრობამ ყველა ძალის მობილიზება უნდა მოახდინოს, რათა დაეხმაროს იმ ადამიანებს, რომლებიც ბოლო მოვლენების შედეგად უმძიმეს მდგომარეობაში იმყოფებიან.

ამის შესახებ გუტიერესმა გუშინ სახელმწიფო მინისტრთან თემურ იაკობაშვილთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა.

მისივე თქმით, გაეროს ლტოლვითა უმაღლეს კომისარიატს დევნილების დახმარების მიმართულებით საქართველოს ხელისუფლებასთან ჯერ კიდევ 90-იანი წლებიდან მჭიდრო თანამშრომლობა აკავშირებს.

თემურ იაკობაშვილის თქმით კი, ძალიან მნიშვნელოვანია ჰუმანიტარული დახმარების მიწოდება იმ ადამიანებისთვის, რომლებიც კონფლიქტის ზონიდან გამოსვლას ჯერჯერობით ვერ ახერხებენ.

მიუხედავად რუსეთის მიერ ხელმოწერილი შეთანხმებებისა, ჯერჯერობით ვერ მივიღეთ მათი მხრიდან გადაწყვეტილება ჰუმანიტარული დერეფნის გახსნის შესახებ, რათა იქ დარჩენილმა მოსახლეობამ დახმარება მიიღოს. ჩვენ ყველა საერთაშორისო ორგანიზაცია ჩავრთეთ, ანტონიო გუტიერესი კი თბილისიდან მოსკოვში მიემგზავრება, სადაც რუსეთის ხელისუფლებას შეხვდება და აღებული ვალდებულებების შესრულებას მოსთხოვს, — განაცხადა იაკობაშვილმა.

მისივე შეფასებით, რუსეთი ნელ-ნელა ექცევა საერთაშორისო იზოლაციაში. იაკობაშვილი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ რუსული მხარე საქართველოში საკუთარ ბარბაროსულ ქმედებებს კიდევ უფრო ამძიმებს ჰუმანიტარული დერეფნის არშექმნით.

თემურ იაკობაშვილის თქმით, ამ საკითხის მოგვარებაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს მოსკოვში გუტიერესის ვიზიტი.

ინტერპრესნიუსი

დრო

# იქნებ ცივილიზებულად მოისწრაფოს საპრეზიდენტო სიცოცხლე...

**მართალია, კაცი მარცხსა და უბედურებას არ უნდა აეთრევინოს, მაგრამ იმ მარცხის სიღრმე და სიმძიმე თუ არ გაზომა და აწონა, ისე წელში გამართვა გაუჭირდება.**

აი ჩვენმა ხელისუფლებამ კი რატომღაც ჭირის ლხინად ქცევა მოინდომა და ეს თავზარდაცემული ხალხიც აიყოლია, აქაოდა, რის მარცხი, გავიმარჯვეთო.

ასეთი დამარცხება-გამარჯვების პირველი მაგალითი 3300 წლის წინათ მისცა ისტორიას ეგვიპტის ფარაონმა დიდმა რამზეს მეორემ.

ძველი წელთაღრიცხვის 1296 წელს ეგვიპტესა და ხეთების სამეფოს შორის მდინარე ორონტის ნაპირზე, კადეშთან მოხდა ბრძოლა, რომელმაც გადამწყვეტი როლი შეასრულა მსოფლიო ისტორიაში.

ხეთების მეფემ მუვათალიმ სძლია რამზესს, მაგრამ... მაგრამ ომიდან შინ დაბრუნების შემდეგ ეგვიპტელმა ხელოვანებმა ხოტბა შეასხეს ფარაონის გმირობას. ამაზე რამესეუმისა და ლუქსორის, კარნაკის, აბადოსისა და აბუ-სიმბელის ტაძრების კედლების წარწერები და ბარელიეფები გვიამბობენ.

დიქტატორული სახელმწიფო არ ცნობს ინფორმაციის თავისუფლებას. ეგვიპტელი ხელოვანები „გამარჯვებულ“ მბრძანებელს ისეთი გაზვიადებული პირფერობით უკმევდნენ გუნდრუკს, როგორიც ეგვიპტეშიც კი არ იყო მიღებული. მას უწოდებდნენ „სიმართლის მოყვარულ ლონიერ ხარს“, „ომში შეუდრეკელს, რომელსაც ადიდებენ ყველა ქვეყანაში“, „მან, რომელმაც ბოლო მოუღო ხეთების ქვეყნის კვეხნას“... ანუ, დღევანდელი ენით თუ ვიტყვით, დაახლოებით ასე: „დემოკრატიის შუქურა“, „ვარდების რევოლუციის შემოქმედი“, „ქვეყნის ყველა გამარჯვების გარანტი“, ან სულაც – „მიშა მაგარია“.

მაგრამ რად გინდა, სამოცდაათი წლის წინათ არქეოლოგებმა მიაკვლიეს იმ ომის შემდეგ დადებულ საზავო ხელშეკრულებას, საიდანაც ირკვევა, რომ რამზესის მიერ შთაგონებული ქრონიკა ისტორიის სამარცხვინო ფალსიფიკაციას წარმოადგენს. ფარაონმა, მიუხედავად იმისა, რომ ამ საქმის გამოცდილება არ ჰქონდა, შეძლო შეექმნა პროპაგანდისტული სიყალბის შედევრი.

ისე რომ, შავის თეთრად მოჩვენება ძალზე სარისკო და უმადური საქმეა.

ჩვენმა პრეზიდენტმა წარმატებით შეძლო წარუმატებლობა წარმატებად მოეჩვენებინა საზოგადოებისათვის (მათი ერთი „ჯოს! ჯოს!.. გაუმარჯოს!“ ნაწილისთვის).

ბედი არ გინდა! ეს უკვე მეორედ ვნახე დამარცხებულ უმაღლეს მთავარსარდალს რომ ტაშს უკრავენ. პირველად 1993 წლის ოქტომბრის დასაწყისში ნირწამხდარი და ფერდაკარგული ედუარდ შევარდნაძის გამოჩენას ტაშით შეხვდა პარლამენტი. მეორედ ახლა, 12 აგვისტოს პარლამენტის წინ შეკრებილმა 200-ათასიანმა მიტინგმა ლამის გმირად შერაცხა წაგებული ომის მთავარსარდალი მიხეილ სააკაშვილი.

მაშინ, 12 აგვისტოს, ბოლომდე ჯერ კიდევ არ გვქონდა გასიგრძეგანებული დანაკარგის მასშტაბები. არადა, წინადღეს ფაქტობრივად დაგვემშვიდობა სახეწაშლილი, ყელში გულმობჯენილი ბატონი პრეზიდენტი, მაგრამ რამდენიმე საათის შემდეგ იმ მიტინგმა დაუბრუნა სიცოცხლის ნიშატი, თორემ შავად იყო საქმე – ხელისუფლება შეიძლება ხელიდან გამოგვცლოდა.

1945 წლის 24 ივნისს გამარჯვებისადმი მიძღვნილ ბანკეტზე სტალინმა ბოდიში მოუხადა ხალხს გადატანილი ტანჯვა-წამებისათვის, როცა აღიარა, ჩვენ გვქონდა სასოწარკვეთის დღეები, როცა უკან ვიხევდით. მაშინ ხალხს შეეძლო ჩვენთვის ეთქვა, თქვენ ვერ გაამართლეთ ჩვენი ნდობა, წადით, ჩვენ მოვიყვანთ ისეთ მთავრობას, რომელიც გამარჯვებამდე მიგვიყვანსო.

სტალინმა კარგად იცოდა, დამუნჯებული საბჭოთა ხალხი რისი მთქმელიც იყო მთავრობისთვის, აქედან დაახვიეთო, მაგრამ, გულის სიღრმეში ისიც მშვენივრად უწყოდა, რომ ამ დამუნჯებულ ხალხს შეიძლება ეს ხმამაღლა არ ეთქვა, მაგრამ გულის სიღრმეში სწორედ ასე ეფიქრა, ამასთან ანგარიში გაუწია იმას, რომ ხალხი სწორედ მობოდიშებას ელოდა თავისი ბელადისაგან.

აი, ბატონ მიხეილ სააკაშვილს, რომელიც ლამის დღეში ორჯერ გამოდის ერისადმი გულამოსკვნილი მიმართვებით, გულში არც გაუვლია ბოდიშის მოხდა იმ დარტყმისთვის, რაც მისმა ხელისუფლებამ მიაყენა ხალხს: იქნებ სამუდამოდ დაკარგული სამაჩაბლო და აფხაზეთი, იმ ტერიტორიებიანად, რომელთაც აქამდე კბილებითა და ფრჩხილებით ვინარჩუნებდით: მთელი კოდორის ხეობა, ენგურსგაღმა სოფლები, რომლებიც ადმინისტრაციულად მუდამ ზუგდიდში შედიოდა, დიდი და პატარა ლიახვის და ფრონეს ხეობის ქართული სოფლები, მთელი ახალგორის რაიონი, სადაც კოკოითმა უკვე დანიშნა თავისი ადმინისტრაცია... იმ დაღუპულთათვის, დაჭრილ-დასახიჩრებულთათვის, ათიათასობით ახალი დევნილისთვის, დანგრეული, გაძარცვული ქალაქებისა და სოფლებისათვის, ქართლსა და სამეგრელოში მდგომი რუსეთის საოკუპაციო ჯარისთვის, რომელიც უკვე კაცმა არ იცის, როდის გავა აქედან...

პირიქით, აყელყელავდა: აგრესორი ფიქრობდა, რომ ხალხი ჩვენს წასვლას მოითხოვდა, მაგრამ ნურას უკაცრავად, ფეხი არ ჩაუვიდაო, ხალხი მხარში გვიდგასო (ან რატომ არ იტყვის: გუშინ ტელევიზიით მოვისმინე, გადამწვარი ტყვიავიდან თუ ნიქოზიდან გამოდევნილი თვალებგაბრწყინებული ქალბატონი აცხადებდა, დღეს უფრო გვიყვარს ჩვენი პრეზიდენტი, დღეს უფრო ერთსულოვნად ვუჭერთ მხარსო).

სანამ მტერი შინ გვყავს, რაიმე ცვლილებებზე ლაპარაკი არ ეგების, „ცხენებს გადასასვლელზე არ ცვლიან“, მაგრამ დადგება დრო და ყველაფერი მწარედ და პირდაპირ ითქმება. თუ ეს პროცესი ოკუპანტმა არ დააჩქარა, რომელიც აქედან წასვლას, როგორც ვარაუდობენ, იმიტომ არ ჩქარობს, რომ სწორედ საქართველოს ხელისუფლების მოცილების დაჩქარება აქვს განზრახულიო. იმასაც კი ამბობენ, კონდოლიზა რაისი მიშას წასაყვანად იყო ჩამოსული (როგორც თავის დროზე რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა იგორ ივანოვმა წაიყვანა ბათუმიდან ასლან აბაშიძე), მაგრამ მიხეილ სააკაშვილი ცოცხალი თავით არ გაჰყვაო (ისე, ინტერნეტით ვიხილე უნიკალური კადრი: საქართველოს პრეზიდენტი კონდოლიზა რაისთან სატელეფონო საუბრის მოლოდინში როგორ ჭამს – პირდაპირი მნიშვნელობით – თავის წითელ ჰალსტუხს).

კაცმა არ უნდა დაუკარგოს: პრეზიდენტმა შეძლო მსოფლიო საზოგადოებრიობის მობილიზება რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ, მაგრამ მაინც რომ არაფერი გამოდის, მოსკოვმა რომ სულ ფეხებზე დაიკიდა აშშ-ის, საფრანგეთის, გერმანიის და სხვათა ძალისხმევა და თბილისში მხარდასაჭერი ვიზიტები?

ჩვენ, ბოლოს და ბოლოს, უნდა მივეჩვიოთ იმას, რომ ხელისუფლებამ თავის ქმედებებზე პასუხი უნდა აგოს. თორემ რა გამოდის: უამრავი უდღეური, თავიდანვე მარცხისთვის განწირული ექსპერიმენტისთვის, რომლებშიც ხალხი საცდელი თაგვის როლს ასრულებდა და ამ თაგვის ბოლოც ერგო, იმ მოუზომავი განცხადებებისა და ნაბიჯებისათვის, რომლებიც არამც და არამც არ ეკადრებოდა სახელმწიფო მოღვაწეს, იმ დამღუპველი, სხვის მოიმედე პოლიტიკისთვის, რომელმაც, პრინციპში, ლოგიკურად მიგვიყვანა ამ დღემდე, მაინც ტაში უნდა ვუკრათ? უნდა ჩავთვალოთ, რომ არაფერი არ მომხდარა?

ყველაფერი უნდა აიწონოს და პასუხი უმკაცრესად მოეთხოვოს!

მირონცხებული მეფე გიორგი მეორე, იმის გამო, რომ ვეჟინის ციხის ალყის დროს ჯარი მიატოვა და სანადიროდ წავიდა, ტახტიდან გადააყენეს და ქვეყანას მომავალი დიდი მონარქი დავით IV ჩაუყენეს.

ხელისუფალს თავის შეცდომებზე პასუხისგებაც უნდა შეეძლოს და, თუ საჭირო გახდა, თავგანწირვაც. ამ დღეებში „პატრიოტული ალტკინებისთვის“ ტელემაყურებელს „დემეტრე თავდადებული“ უჩვენეს. მართლაც კარგი მაგალითია: მონღოლებს მისი ქვეყანა კიდევ ერთხელ რომ არ აეწიოკებინათ, ჭაბუკმა მეფემ, მოქეიფე, მექალთანე და თავკერძა დემეტრემ სიცოცხლე შესწირა სამშობლოს და მადლიერმა სამშობლომ მას თავდადებული უწოდა.

თუ ხელისუფალს ერის სამსხვერპლოზე თავისი თავის ზვარაკად მიტანის ნებისყოფა არ ჰყოფნის, ის ხელისუფლად არ ვარგა. რა, არ იცოდნენ ბიძინა ჩოლოყაშვილმა, შალვა და ელიზბარ ერისთავებმა, რომ შაჰი ბახტრიონის შემდეგ სპარსეთში რაჰათ-ლუხუმის საჭმელად არ ეპატიჟებოდა? მაგრამ წავიდნენ და ნებაყოფლობით ჩაიჩოქეს საჯალათო კუნძთან.

მიხეილ სააკაშვილს არავინ ავალდებულებს, ნაჯახს შეუშვირე კისერიო, ხალხი უფრო იმას ელოდება, იქნებ ცივილიზებულად მოისწრაფოს საპრეზიდენტო სიცოცხლე – განცხადება დაწეროს გადადგომის შესახებ და ცოლოურს წავიდეს ჰოლანდიაშიო...

ოღონდ ამის აღსრულებას ვაჟკაცობა სჭირდება.

ეს კია, ვაჟკაცობა ჩვენს პრეზიდენტს არ აკლია, ეს შარშან შემოდგომაზე, დაამტკიცა, განმუხურში ავი ზრახვით მისულ რუსის ჯარს რომ მიუხტა და ყოვლად გაუაზრებლად ყველაფერი სასწორზე შეაგდო, მერე კი აფხაზეთში მდგარი რუსი სამშვიდობოების სარდალი გენერალი ჩაბანი პერსონა ნონ გრატად გამოაცხადა. კი გამოაცხადა და „მოხსნა“ (მაგრამ, რა თქმა უნდა, როგორც მოსალოდნელი იყო, ყური არავინ უგდო).

ეჰ, ვინ იცის, რამდენი ასეთი მიხტომ-მოხტომა აღასრულა ჩვენმა პრეზიდენტმა ზეობის პერიოდში, პარლამენტში შევარდნაძესთან მიხტომით დაწყებული.

**ახლა ხტუნვის დრო აღარ რჩება. ქვეყანა განსაცდელშია და პრეზიდენტისგან ერთადერთი სწორი ნაბიჯის გადადგმას ელის!..**

**სანდრო ალექსიძე**

თავს მოხვეულუ ომის ექო!...

# არა მხოლოდ იზოლაცია...

**რუსეთმა თავზე ხელი აიღო და ყველაფერი ის სიბინძურე და ჭუჭყი, რაც შეიძლება ისედაც უგუნური სისასტიკით საკმაოდ ცნობილ რუსული პოლიტიკის ისტორიას თავისი არსებობის მანძილზე შეუძენია, ყველაფერი ჩვენს პატარა, უპრეტენზიო, ნიჭიერი, გულითადი და მხიარული ხალხით დასახლებულ სამშობლოს თავზე გადმოანთხია.**

დაგვინგრიეს და მიგვილეწ-მოგვილეწეს, გადაგვიწვეს საოცარი შრომით, სისხლით და ოფლით ნაგებ-ნაშენები ჩვენი ლამაზი, უსაყვარლესი სოფლები და ქალაქები. ახლა, შეძრწუნებული და აფორიაქებული ვცდილობ ისტორიულ მასალებს გადავხედო, მოვიგონო ბარბაროსი თუ არაბარბაროსი მტრების შემოსევები, თავდასხმები და ვხედავ ანალოგიებს, მაგრამ გაათკეცებული ცინიზმით, სისასტიკით უკუღმართი ფანტაზიით დატვირთულს. რუსეთმა არა მარტო თავისი გიგანტური ურჩხული სამხედრო მანქანა, შხამიანი ცხრათავიანი დევებით, აამოქმედა ჩვენს წინააღმდეგ, არამედ თუ სადმე კრიმინალური ბანდა არსებობდა რუსეთისა და კავკასიის ტერიტორიაზე ყველას ქართული მიწის, ქართველი ხალხის, საქართველოს ერთგული მოქალაქეების გატაცებისა და გაუპატიურების საშვი მისცა. ისინი არ ინდობდნენ უცხოელ ჟურნალისტებსა და სტუმრებსაც კი. ის, რაც რუსეთმა ჩაიდინა, კანიბალიზმისა და ვანდალიზმის ჩარჩოებში თუ ჩაეტევა და ალბათ ასეული წლების მანძილზე დარჩება კაცობრიობის შემაძრწუნებელ ისტორიად.

ეს აზრები მხოლოდ ტელევიზორის მეშვეობით გადმოცემულმა და განხილულმა მასალებმა როდი გამიჩინა. ჩემი აღშფოთებული განწყობა გორისა და ცხინვალის რაიონებიდან და სოფლებიდან გამოქცეულმა, შეურაცხყოფილმა და ღირსებაშელახულმა ლტოლვილებმა და დაჭრილებმა შემიქმნეს. ისინი საავადმყოფოებში ვნახეთ. ძნელია გაუძლო მათ შეძრწუნებულ გამოხედვას, თვალებში ჩაბუდებულ, მოულოდნელი თავზარდაცემულობისაგან გაჩენილ შიშს, რაღაც უცნაურ სევდიან უნდობლობას.

გლოვის მძიმე დღეებია საქართველოში. დავტირით ჩვენს ახლად წამოჩიტულ სიცოცხლითა და სიყვარულით სავსე ჭაბუკებს, რომელთაც საქორწინო სარეცელის ნაცვლად შავ მიწაში ქრისტიანულად დროული განსვენებაც კი არ აღირსეს ბნელმა რაზმელებმა. დავსტირით მათ უმშვენიერეს სულებს, ანგელოზებივით ზემოდან რომ დაგვყურებენ, იქიდან გვამხნევებენ და გვეფერებიან. ბიჭებო, ჩვენო სიამაყევ, თქვენ, ჩვენო ღირსებავ და ნამუსო, მუხანათი მტრების მიერ უდროოდ განგმირულო მეომრებო, დედისა და საყვარელი ქალის ცრემლებს დანატრულებო. თქვენ, ჩვენი უკვდავი ისტორია ხართ, ისტორია, რომელიც კიდევ უფრო გაამდიდრეთ, გაანათეთ და აამაღლეთ. ბიჭებო, ვფიცავთ, რომ დავიწყება არ ექნება თქვენს სახელს, არც მტერს შევარჩენთ თქვენს უცოდველ, მშობლიური მიწისათვის დაღვრილ სისხლს. არ შევარჩენთ იმ ჩვენი მოქალაქეების, ჩვენი ახალგაზრდა თუ ხანდაზმული ქალბატონების, ჩვენი მშვიდობიანი მოქალაქეების სისხლს, რომლებმაც რეალობის გააზრებაც ვერ მოასწრეს, ისე მოულოდნელად წავიდნენ ამ ქვეყნიდან განცვიფრებულები და თავზარდაცემულები, რუსული ბომბებით განგმირულები.

მადლობა ღმერთს, რომ მსოფლიო აღსდგა რუსული ვანდალიზმის წინააღმდეგ. არ არის საკმარისი რუსეთის იზოლაცია ცივილიზებული სამყაროსაგან. იგი უნდა გასამართლდეს. რუსეთს უნდა დაეკისროს იმ ზარალის ანაზღაურება, რაც მან მიაყენა საქართველოს (და მსოფლიოსაც, სხვათა შორის!), მატერიალური მაინც, რადგანაც სულიერი და მორალური ზარალის ანაზღაურებას ორი რუსეთიც კი არ ეყოფა!

**გულნარა სტურუა**

მოუშუშებელი ჭრილობა

# ტირის შემოსული მოსავალი მიტოვებულ სამკვიდროში

## დევნილებს ყოველნაირად ეხმარებიან

*ცეცხლით და მახვილით შემოესივნენ ქართლს რუსი ოკუპანტების მხარდაჭერით გათამამებული ოსი სეპარატისტები. თვითმხილველთა თქმით, ოცკაციანი შეიარაღებული ბანდები დარბიან გორისა და ქარელის რაიონის სოფლებში და ამცირებენ, უფლებებს ულახავენ ადგილობრივ მცხოვრებლებს, იმათ, ვინც ჯერ კიდევ ვერ მოასწრო კონფლიქტის ზონის დატოვება და ღამეს მინდვრებსა და ხევებში ათენებს, რადგან საკუთარ სახლებში შესვლის ეშინიათ, ან სახლი, საერთოდ, დაეწვათ.*

მოვინახულე დევნილები, რომლებიც უკვე განთავსებულნი არიან თბილისის საჯარო სკოლებსა და საბავშვო ბაღებში.

კარგად მახსოვს გასული საუკუნის 90-იანი წლები, როცა დევნილთა პირველი ტალღები მოაწვა საქართველოს ქალაქებს. მაშინ სახელმწიფო ისე მყარად ვერ იდგა ფეხზე, როგორც ახლა დგას და ამიტომ, განსხვავებაც თვალშისაცემია: ახლა დევნილებს უფრო უკეთესი პირობები აქვთ, ვიდრე მაშინ, როცა ჭირდა პროდუქტიც, ტანსაცმელიც, არც საერთაშორისო მხარდაჭერა იყო ასეთ დონეზე.

დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში მდებარე №131-ე საბავშვო ბაღმა 200-მდე დევნილი შეიფარა.

ბაღის დირექტორი **აქსანა ჯვარშეიშვილი** გვიამბობს: — შვებულებაში ვიყავი წასული. კოჯორში ვისვენებდი. ღამის პირველ საათზე დამირეკეს და მითხრეს, დევნილები მიიღეო. მაშინვე წამოვედი. ჩემი ნებით გავალე 91-ე ბაღი, რომელც შემოერთებული მაქვს (ცოტნე დადიანის №27ძ. გაწამებული ადამიანების დიდი ნაკადი მოვიდა. ნუ გეშინიათ, ჭერი გექნებათ-მეთქი. მაშინვე დავურიგეთ თეთრეული, ლოგინი, პროდუქტი. აქვე მსურს აღვნიშნო ის დიდი თანაგრძნობა, რაც ბაღის თანამშრომლებმა გამოიჩინეს — გაიღეს შემოწირულობა. დაგვეხმარნენ მეზობლად მცხოვრები ოჯახებიც. გამგეობა გვაწვდის პროდუქტებს. „ავერსში" მომუშავე სტაჟიორმა გოგონამ ერთი ხელფასით შეიძინა მედიკამენტები და დევნილებს მოუტანა. ყველი შემოგვიტანა სანაკოევის მთავრობამ, გაერომ დევნილებს დაურიგა საყოფაცხოვრებო ნივთები. დღეში სამჯერ ვაჭმევთ, ძიძები და მზარეულები მორიგეობენ და ამზადებენ სადილებს — დიდი მადლობა ყველას, ვინც აგვაწყობინა ასეთი თბილი, მეგობრული ურთიერთობა ჩვენს თანამოქალაქეებთან. დღე და ღამე მათთან ვართ და ვცდილობთ, ყურადღება არ მოვაკლოთ, ხელი შევაშველოთ განსაცდელში ჩავარდნილ ჩვენს დებს და ძმებს.





გუშინაც, ცოლ-ქმარმა ჯიბო და ნუნუ ლეჟავებმა, რომლებიც ბაღის გვერდით ცხოვრობენ, დევნილებს მოუტანეს საკვები პროდუქტები, საწოლები, ლეიბი, საბანი, ტელევიზორი, ტანსაცმელი, მაცივარი... ქალბატონი ნუნუ თვალზე ცრემლმომდგარი ამშვიდებდა და ანუგეშებდა შეჭირვებულთ... გუშინვე რძე შემოიტანა რამაზ ჭუმბურიძემ.

...კაბინეტში სძინავს ბაღის დირექტორს აქსანა ჯვარშეიშვილს. დევნილთა შორის არიან მოხუცები, ბავშვები, ჰყავთ სამი ფეხმძიმეც.

გავესაუბრე დევნილებს, რომლებიც ქალაქ გორიდან და დიდი ლიახვის ხეობიდან არიან წამოსულები.

**მიხეილ მაისურაძე, სოფელ ქურთიდან:** დიდი სითბო და გულისხმიერება გამოიჩინეს ბაღის დირექტორმა და თანამშრომლებმა ჩვენს მიმართ. არასდროს დავივიწყებთ მას სიკეთეს. ყველას როდი აქვს ასეთი ადამიანურობა და მადლი. ღმერთმა მოგვიყვანა ალბათ, ამათთან. ღმერთმავე ინებოს, მალე დადგეს მშვიდობა და ყველა მათგანს ვეპატიჟებით იქ, სამაჩაბლოში, ხილით და ბარაქით სავსე ჩვენს მამულში. მადლიერებას და ურთიერთპატივისცემას რა სჯობს ამ წუთისოფელში! გული მტკივა, ჩვენი ნაამაგარი სახლ-კარი და მოვლილი, შემოსული მოსავალი რომ ტირის ახლა მიტოვებულ სამკვიდროში.

**ქეთინო მაისურაძე, სოფელ ქურთიდან:** დიდ მადლობას ვუხდი პირადად ბაღის დირექტორს, აქსანა ჯვარშეიშვილს, რომელმაც ჩვენს უმძიმეს პერიოდში ასეთი სითბო და ადამიანობა გამოიჩინა. დიდი მადლობა ბაღის კოლექტივს, უკლებლივ ყველას, ვინც მხარში გვიდგას.

**მანანა გიორგაძე, ქ. გორის მკვიდრი:** რაც ვნახე, კოშმარია! ამას ვერ ვიფიქრებდი. ასეთი ბარბაროსობა გაუგონარი და წარმოუდგენელია. რად გვბომბავს და გვანგრევს რუსეთის ფედერაციის ჯარი, რა დავუშავეთ? ერთს ვნატრობ, ოღონდ ჩემი სახლის კედლები დამხვდეს და ისევ ავაშენებ, ისევ ჩვენი იყოს გორი და დაცული გვქონდეს საზღვრები. სხვას არაფერს ვნატრობ.:

ფოტოზე აღბეჭდილი ოჯახი კი სოფელ კეხვიდანაა. **გაიოზ კახნიაშვილის** მრავალსულიანი ოჯახი ძლივს გამოექცა ბომბებს და ნგრევას. უსახლკაროდ დარჩენილები ჯერაც გონს ვერ მოსულან და სასწრაფოს სირენების კივილზე ეს ბავშვები იატაკზე ისევ ისე წვებიან, როგორც იქ, კეხვში, რუსული ავიაგამანადგურებლების იერიშის დროს...

უდიდესია ტკივილი და მოუშუშებელია ჭრილობა სრულიად საქართველოსი...

**ლია ჭილლაძე**

**სურათებზე: აქსანა ჯვარშეიშვილი; კახნიაშვილების ოჯახი სოფელ კეხვიდან.**

მაესტრო

**ერთი ძველი ფილმი შემორჩა მეხსიერებას: ფაშისტები ჰაერიდან შეუტევენ და სასტიკად დაბომბავენ კოპწია ფრანგულ ქალაქს. დიდებული საკონცერტო დარბაზი ჭერახდილი და კედლებჩამოშლილია. სცენაზე აქ ზის ჩია ტანის მუსიკოსი და ბრამსს უკრავს.**

თქვენც გიყვართ ბრამსი?

ომის, ბოროტი ძალების ჯიბრზე ჟღერს ბომბებს სასწაულებრივად გადარჩენილი როიალი. ვინა თქვა, როცა ზარბაზნები ქუხან, მუზები ჩუმდებიანო?!

ადამიანის სიცოცხლეა მოკლე, სამაგიეროდ ხელოვნებაა გრძელი და მარადიული...

— იცნობთ ამ კაცს? — ქუჩაში მაჩერებს გამვლელი.

— ვისზე მეკითხებით?

— აგერ, ფანჯრებშელეწილ დარბაზში, სიბნელეში რომ ზის და თავის თავს ჭადრაკს ეთამაშება.

როგორ არ ვიცნობ! ეს ხომ გურამ მუკნიაშვილია, ეროვნული ოსტატი ჭადრაკში, გორის საჭადრაკო კლუბის დირექტორი, პედაგოგი და მოჭადრაკე. მთელი ეს ჩამონათვალი კი ერთ სიტყვაში თავსდება, — მაესტრო! — ასე მივმართავთ ხოლმე მას.

გურამ მუკნიაშვილის ცხოვრების ერთი დიდი პერიოდი გორის საჭადრაკო კლუბთან, „მთიებთანაა" დაკავშირებული. ოც წელზე მეტია ამ კლუბს უდგას სათავეში და მასთან ერთად ბევრი განსაცდელიც გამოუვლია. ვინღა აღარ ცდილობდა ქალაქის ცენტრში, ი. სტალინის სახლ-მუზეუმის წინ მდებარე 300 კვადრატული მეტრი დიდებული დარბაზის ხელში ჩაგდებას — მთავრობის მოხელეები, პრივატიზაციის ჩინოვნიკები, საეჭვო გზებით გამდიდრებული ბოზოლა ახალი ქართველები, შავები, წითლები...

მოკლედ, კლუბს ართმევდნენ — არ დათმო, თავად მას ყიდულობდნენ, — არ მიეყიდა, მოგვაქირავეო — მოაფერისტო ელემენტებისგან შორს დგომა არჩია. ბოლოს, როცა ვითარება სახიფათოდ დაიძაბა, მაესტრომ აიღო ნაჯახი, სახლიდან წამოვიდა და კლუბში დასახლდა, — დღეც იქ იყო და ღამეც, ზამთარიც და ზაფხულიც. კლუბის ხელში ჩაგდების მოსურნენი, — ვის აქ უცხოური მანქანების სარეალიზაციო ცენტრი უნდა გაეხსნა, ვის — კაფე-ბარი, ვის კიდევ — გასართობი დაწესებულება წითელი ფარნებით გაწყობილი, უცხო სიტყვების ლექსიკონში ბორდელი რომ ჰქვია, მუშტით და ნაჯახით შეუნარჩუნა გურამმა ქალაქს ეს ერთადერთი ინტელექტუალური დაწესებულებისა და გართობის ადგილი. კლუბის ხელში ჩაგდების მოსურნენი გაიფანტნენ.

# ...და ჟღერდა ბომბებს სასწაულებრივად გადარჩენილი როიალი

გურამ მუკნიაშვილი რომ არა, დღეს გორსა და საქართველოს არ ეყოლებოდა 20 წლის საერთაშორისო დიდოსტატი ჭადრაკში დავით მალალაშვილი, 16 წლის ოსტატი ეკა გოგლიძე, შავი ზღვის აუზის ქვეყნების ჩემპიონი 14 წლის ლექსო ხახუტაშვილი და სხვები.

როგორ ეხმარებიან ჭადრაკის მაესტროს „ზემოდან"?

თუ ქალაქში ან მხარეში ისეთი ჩინოვნიკი მოავლინეს, ჭადრაკის ფიგურების დალაგება მაინც იცის, მაშინ კიდევ არა უშავს, მაგრამ ღმერთი თუ გაუწყრა გორელებს, — რაც, სხვათა შორის, ხშირად ხდება, — და მაღალ სავარძელში ისეთი სუბიექტი ჩაჯდა — „მაგ კენჭებისა არაფერი გამეგებაო", — მაშინ უკვე გურამსაც და კლუბსაც მძიმე დღეები ელის.

— დღეს როგორაა საქმე?

— აქამდე მეხმარებოდნენ. ახლა ვნახოთ...?

ქუჩაში რუსების „ბეემპეებმა" ჩაიხრიგინა. ზედ ჯარისკაცები ისხდნენ. ავტომატები ჩაებღუჯათ და აქეთ-იქით იყურებოდნენ. „ბეემპეები" კიდევ არაფერი. ის ბომბები იყო საშინელება, აგრესორები თვითმფრინავებიდან და ვერტმფრენებიდან რომ ყრიდნენ.

— კომბინატის დასახლებაში რომ ჩამოაგდეს, — მიამბობს გურამი, — შენობამ ზანზარი დაიწყო. ვიფიქრე, უფრო ახლო არაფერი ჩამოაგდონ-მეთქი და მინის უზარმაზარ ვიტრინებს მოვშორდი. ამის გაფიქრება იყო და გამაყრუებელი აფეთქების ხმა გაისმა. ბომბი „ვერხვებში" ჩავარდა, მე კი აქ ჰაერის ტალღამ კედელზე მიმანარცხა. ილეწებოდა, იმტვრეოდა, ცვიოდა, კლუბი მტვრის ბულში გაეხვია. ცოტა ხნის შემდეგ, როცა ყველაფერი მიწყნარდა და მეც გონს მოვედი, შემზარავი სურათის მოწმე გავხდი: ფასადის კედელი გაბზარული, იატაკი მინის ნამსხვრევებით მოფენილი — გეგონება თოვლი მოვიდაო. ორიოდ წუთის წინათ აქ რომ ვმდგარიყავი, ათასობით მინის ნამტვრევ-ნამსხვრევი ერთიანად დამსერავდა, ასო-ასო ამქნიდა და შუშების გროვაში ჩამმარხავდა. მაგრამ ბედისწერამ ასე არ ინება.

— ამათ წასვლას საშველი თუ დაადგა, — მაესტროს მწარედ ელიმება, თან ქუჩას გასცქერის — ეს-ესაა რუსების პატრულმა ჩაიარა, — მეცადინეობებს განვაახლებ და პირველსავე გაკვეთილზე მოსწავლეებს ალიოხინის დაცვას შევასწავლი. არის ასეთი სადებიუტო სისტემა. იგი რუსმა მოჭადრაკემ ალიოხინმა მე-19 საუკუნის 20-იან წლებში შეიმუშავა. ალიოხინის დაცვას როგორც ხედავთ, არაფერი აქვს საერთო რუსი ბედოვლათი მედვედევ-პუტინის თავდასხმასთან, რომლის შიში და სასოწარკვეთა ჩემმა მოწაფეებმა ამ დღეებში საკუთარ თავზე გამოსცადეს.

...ის მაესტრო ეულად ფარდებჩამოგლეჯილ, ფანჯრებშელეწილ ბნელ დარბაზში და მომავალი გაკვეთილისთვის ემზადება, — ალიოხინის დაცვის ლაბირინთებში მოგზაურობს.

ვინ თქვა, როცა ქვემეხები ქუხან... აი, ჭადრაკის მფარველი კაისა, როგორი მებრძოლი ქალღმერთია, აინუნშიც არ აგდებს ზარბაზნების გრიალს...

**გურამ ვაშაკიძე**

ექო

**საქართველოში საოკუპაციო ჯარების შემოჭრის შემდეგ რუსეთში კვლავ იფეთქა ანტიქართულმა ისტერიამ. ყველაფერი ცოტა ხნის წინათ მომხდარის სცენარით მიმდინარეობს. სრულიად უსაფუძვლოდ მიჰყავთ რუსეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეები მილიციის განყოფილებებში. მათ სხვადასხვა ბრალდებებთან ერთად ტერაქტების მოწყობასა და მათი ორგანიზების ბრალდებებსაც უყენებენ. ქართველების მიმართ აგრესიას ადგილობრივი მაცხოვრებლებიც უყენებენ. ამის გამო ჩვენი თანამემამულეები ქუჩებში ველარ გამოდიან.**

ქართველების დევნამ იმდენად მასშტაბური ხასიათი მიიღო, რომ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი მედვედევი იძულებული გახდა გამოეცა ბრძანება, რომლის მიხედვითაც რუსეთის მთელ ტერიტორიაზე იკრძალება უცხო ქვეყნის მოქალაქეთა შევიწროება. მაგრამ რუსეთში რომ პრეზიდენტის ბრძანებებს დიდად არ დაგიდევენ, ის კი თავის მხრივ თითქმის არ აკონტროლებს მათს შესრულებას, ჩვენი ქვეყნის მაგალითიდანაც ჩანს.

როგორც კი მედვედევის ბრძანება გამოვიდა, რუსეთში 7 ქართველი მოკლეს. 20 უგზო-უკვლოდაა დაკარგული. საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც თავის თავს არალეგალური იმიგრაციის მოძრაობას უწოდებს, აპირებს რუსეთის მთელ ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველების სახლების დარბევას. რუსეთის ფედერაციაში უკვე გამოჩნდა ხალხი, რომელიც ხელისუფლებას მოუწოდებს ჩვენი თანამემამულეების არა მხოლოდ მოსკოვსა და ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე შევიწროებას, არამედ თვით საქართველოში.

## ნაბიჯი წინ, ორი – უკან

### ქართულ ეკონომიკას ანგრევენ, ინაწილებენ

**ოკუპანტების დაბომბვების სამიზნეები, სამხედროსთან ერთად სამოქალაქო, სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტებიც გახდა. ყოველივე ეს პირველ რიგში ძლივს ფეხზე წამომდგარი ქართული ეკონომიკის დანგრევის, ქვეყნის ხერხემალში გატეხვის სადამსჯელო ოპერაციები იყო.**

ქართველი ექსპერტების და არა მხოლოდ მათი შეფასებით, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მილთან ჩამოგდებული ბომბები შემთხვევითობას არ წარმოადგენდა. რუსულ თვითმფრინავებს თავისუფლად შეეძლოთ მილის აფეთქებაც, მაგრამ ეს არ ქნეს. მათ უბრალოდ გააფრთხილეს აზერბაიჯანი, რომ მიწოდების გაგრძელების შემთხვევაში ამასაც იზამდნენ. გაფრთხილებამ გაჭრა. ბაქომ გადაკეტა მილი. ამის შედეგად საქართველო უკვე კარგავს მილიონებს და ბევრად მეტს დაკარგავს მომავალში. ამ პირობებში რუსმა ეკონომისტებმა და ფინანსისტებმა დაიწყეს იმის დათვლა, თუ რა მოგებას მოუტანს მათ ქვეყანას საქართველოზე გასავლელი ნავთობის ნოვოროსიისკის მილში გატარება.



ოკუპანტები მათ დაბომბვას გადარჩენილ ქვეყნისათვის სასიცოცხლო და სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტებზეც ამყარებენ კონტროლს. რამდენიმე დღის წინათ რუსი სამხედროები ენგურჰესის კაშხალზე ავიდნენ. მათ ერთ-ერთი სათვალთვალო კოშკი დაიკავეს. დამკვრობლებს კაშხალის ფუნქციონირებისათვის ჯერჯერობით ხელი არ შეუშლიათ, მაგრამ არც ეს არის გამორიცხული.

ანექსირებულ ტერიტორიებს თავისად მიიჩნევენ რუსული პოლიტელიტის წარმომადგენლები. მოსკოვის მერის იური ლუჟკოვის განცხადებით იწყება ცხინვალის რეგიონის აღდგენითი სამუშაოები. ლუჟკოვი აპირებს, აღდგენილ ქალაქში ცენტრალურ ქუჩას თავისი სახელი დაარქვას. მისივე განმარტებით ეს ნაბიჯი ყველას დაუმტკიცებს, თუ ვინ არის რეგიონის ნამდვილი პატრონი.

### ლტოლვილები დაავიწყდათ

**ხელშეკრულება, რომელსაც სარკოზის შუამავლობით სააკაშვილმა და მედვედევმა მოაწერეს ხელი, საზოგადოებაში არც თუ ერთნაირ რეაქციას იწვევს. მის მიმართ სხვადასხვა მოსაზრებები აქვთ პოლიტოლოგებს, ექსპერტებს.**

**ვანო ცალუღელაშვილი** (საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი): „ზვიად გამსახურდიას დროს დაწყებულ ქართულ-ოსურ შეიარაღებულ დაპირისპირებას (1991 წ.) უმალ გამოეხმაურა სსრკ-ს თავდაცვის სამინისტრო და ცხინვალში ჯარები შეიყვანა. კონფლიქტის დაწყების შემდეგ საქართველოს ესტუმრა იმჟამად რუსეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ბორის ელცინი. მან გამსახურდიასთან ერთად რვა პუნქტიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. მეოთხე პუნქტში ორივე



ლიდერი წინადადებას აძლევდა სსრკ-ს თავდაცვის სამინისტროს, გაეყვანა შეიარაღებული ძალები კონფლიქტის ზონიდან. ამ დოკუმენტში ყველგან წერია – „ყოფილი სამხრეთ ოსეთი“ ეს იმას ნიშნავდა, რომ რუსეთი არ ეწინააღმდეგებოდა ამ პოლიტიკური ერთეულის გაუქმებას.

სეპარატისტული ხელისუფლების კონტროლირებადი ტერიტორია ცხინვალის რეგიონად მოიხსენიებოდა შევარდნაძის ყველა ხელმოწერილ ოფიციალურ ხელშეკრულებაშიც. 2006 წლის 15 თებერვლის დადგენილებით ამ რეგიონს ცხინვალის რეგიონი უნდა წოდებოდა. მაგრამ ჩვენი მხარე ოფიციალურ თუ არაოფიციალურ დონეზე თავადვე უგულებელყოფდა თავისსავე მიღებულ დოკუმენტს.

გამსახურდიადან მოყოლებული ყველა ხელშეკრულებაში ერთ-ერთ პუნქტად ჩადებული იყო ლტოლვილთა დაბრუნება, მათი უსაფრთხოება და ა.შ. ამჟამინდელ ხელშეკრულებაში მათზე, გაკვრით, მინიშნებითაც კი არ არის არაფერი ნათქვამი.

ხელისუფლების წარმომადგენლები ერთხმად აცხადებენ, რომ ამ ეტაპზე უპირველესი ამოცანა საოკუპაციო ჯარის გაყვანაა. ყველაფერი დანარჩენი შემდეგ მოწესრიგდებაო. ამასობაში კი რუსული ინტერვენციის შედეგად საქართველომ კონტროლირებადი ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი დაკარგა.

**ზაზა ბილიხოძე**

ომის დღეების ქრონიკა: ერთი ბომბის ისტორია

# ქალღი ვინც მოკლა, მანვე გადაათრიოს

*„პატივცემულო რედაქცია, თქვენი გაზეთის 15 აგვისტოს ნომერში წერილში „გორი – დაბომბილი და უკაცრიელი“, წერდით ალმაშენებლის 20-ში ჩამოგდებული აუფეთქებელი რუსული ბომბის შესახებ. საინტერესოა, რა ბედი ეწია მას.*

*ლევან გორგიძე, თბილისი.*

რედაქცია დაუკავშირდა შიდა ქართლის მხარეში გაზეთის საკუთარ კორესპონდენტს. აი, რა გვიამბო მან: „გორში ალმაშენებლის 20-ში ჩამოგდებული ბომბი, უფრო სწორად, კასეტური რაკეტა ურთულესი საბრძოლო იარაღი აღმოჩნდა. იგი ორჯერ ფეთქდება ერთიმეორის მიყოლებით. რაკეტა ვერტმფრენიდან რომ ჩამოაგდეს, მისი ერთი მონაკვეთი კიდევაც აფეთქდა, გაანგრია კედელი და დონღუზაშვილების ოჯახში შევარდა. მეორე მონაკვეთი მექანიზმში რაღაც ტექნიკური უწესივრობის გამო არ აფეთქებულა. იმ ქუჩაზე მცხოვრებლებმა ამის თაობაზე გვიან გაიგეს და ადვილი გასაგებია ის შიში და ძრწოლა, რასაც ისინი იმ დღეებში განიცდიდნენ.

რაკეტის თაობაზე, რომელიც დონღუზაშვილების საძინებელ ოთახში ტახტზე „წამოწოლილიყო“, მთელმა ქვეყანამ გაიგო და ლამის ქალაქის ღირსშესანიშნაობად იქცა. გორში დღეს უამრავი უცხოელი ტრიალებს, მათი დიდი უმრავლესობა ჟურნალისტებია. ყველა თავისი ტელეარხის, ფირმის, გაზეთის ღირსებად თვლიდა მოსულიყო ალმაშენებლის 20-ში და რაკეტისთვის ფოტო გადაეღო ან მასზე რაიმე ცნობები შეეგროვებინა. ამასობაში სახლის პატრონები ალმა-დალმა დარბოდნენ მესანგრე-განმნაღმველების მოსაყვანად, ბოლოს, რუსი სამხედროები დაიყოლიეს – ყველაფერს რომ ანგრევთ და ატიალებთ, ერთი კეთილი საქმე მაინც ჰქენითო. რუსები მოვიდნენ, სამკაციანი ჯგუფი იყო. კაპიტანმა რაკეტას დახედა, ჩვენიაო, თქვა და ორიოდ წუთში „მოათვინიერა“. რაღაც დეტალები მოხსნა, ღილაკები ფრთხილად დააძრო და გამოაცხადა: „შეგიძლიათ ჯართში ჩააბაროთო“.

– როგორც მოიტანეთ, ისე წაიღეთ – გამოუცხადეს ალმაშენებლის ქუჩის მობინადრეებმა. ნათქვამი ანდაზითაც გაამაგრეს: – ქალღი ვინც მოკლა, მანვე უნდა გადაათრიოსო.

– კარგი ანდაზა გქონიათ, – თქვეს სამხედროებმა, რაკეტა „ურალზე“ შეაგდეს და წასასვლელად გაემზადნენ.

– მინდა პატივი გცეთ, – უხერხულად შეიშმუშნა სახლის პატრონი ვაჟა დონღუზაშვილი.

რუსი წამით ჩაფიქრდა.

– ერთი ბოთლი არყის მეტი არაფერია საჭირო.

– არაყსაც გაგატანთ და ხუთლიტრიანი ჭურჭლით სუფთა „ატენურსაც“.

– კარგი. ატენურს სალდათებს დავალევინებ.

– სტალინის სადღეგრძელო არ გამოგრჩეთ.

– მაგით დავიწყებთ.

**გურამ ვაშაკიძე,**
**„სრ“ საკ. კორესპონდენტი.**



**ჯემალ ინჯია**

### გორს ბომბავენ რუსები

„წამოდი მანდედან!“ –
რეკავენ კახეთიდან.
„წამოდი!“– ხაზზეა თბილისი
წარამარა.
მე მესმის წუხილი გორიდან
გახვეტილთა.
არსადაც არ წავალ.
ბედიღბლის ვარ ამარა.

არც ჭურვი დამეცა,
არც სხვარიგ დავითოფე.
წერა იქ მოგძებნის, სადაც მას
ემალებით.
დღეს გორის მამები ნაკლებად
დავითოფეთ,
ქალაქში ცოტანი დარჩნენ
ჯემალები.

ქ. გორი. 15 აგვისტო, 2008.

წერილი რედაქციას

# მსოფლიოს ყველაზე ხანდაზმული იმპერია დასაშლელია!

## ეხმაურებიან ჩვენს პუბლიკაციას „აგრესორებს ჭკუა უნდა ვასწავლოთ!“

**პატივცემულო რედაქცია, გთხოვთ, მოგვცეთ იმის საშუალება, რომ გამოვეხმაუროთ თქვენი გაზეთის 14 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებულ პენსიონერ ბიჭიკო ჯანჯღავას სტატიას „აგრესორებს ჭკუა უნდა ვასწავლოთ!“**

დიდი ხანია, ასეთი პრინციპული და პირდაპირი, აქტუალური, სადღეისო ვითარებას მისადაგებული სტატია არ წამიკითხავს. მასში მოკლედ, სხარტად, თითქმის ყოვლისმომცველად არის ნაჩვენები დღევანდელი რუსეთისა და, საერთოდ, პოლიტიკური რუსეთის (ამას ხაზგასმით აღვნიშნავთ) სახე, არსი, მიზანდასახულობა და... ნუ გაგიკვირდებათ, შორიდან დანახული მისი ხვალინდელი დღეც.

ბოლოს და ბოლოს, როგორც იტყვიან, როდემდე უნდა ვუგოროთ კოჭი იმპერიულ აგრესიულ რუსეთს?!

წერილში ზუსტადაა მინიშნებული მრავალი (თუმცა არა ყველა!) ქვეყანა და პუნქტი, დღეს რომ „თავს იწონებენ“ დიდი რუსეთის შემადგენლობაში, იქნება ეს კალინინგრადი, იაპონიის კურილიის კუნძულები... და ა. შ.

ავტორი, მართალია, „აღარაფერს ლაპარაკობს საქართველოზე“, მაგრამ როდემდე უნდა ვხუჭავდეთ თვალს სტავროპოლის მხარისა და კრასნოდარის ოლქის მრავალ ქალაქსა, სოფელსა თუ სხვა დიდ ტერიტორიებზე? გვახსენდება ერთი ადგილი, დიდი ქართველი მეცნიერის გიორგი ახვლედიანის სტატიიდან ორმოცდაათიანი წლების ბოლოს რომ დაიბეჭდა, სადაც ის ქალაქ ტუაფსეს სახელწოდებას შეეხება და გარკვეული მობოდიშებით აღნიშნავს: ფსე, ფსი ნიშნავს სითხეს, წყალს, სიტყვა ფსელიც აქედან მომდინარეობს, სუფსაც განა ამას არ მიგვანიშნებს?! აბა, დაგვისახელეთ ამ სახელწოდებათა სხვა ახსნა, გარდა მათი ქართული წარმომავლობისა. ხომ ბევრს უნდა ნიშნავდეს ეს?

ჩვენც ბოდიშს ვიხდით ამ გახსენებისთვის.

ასე იქმნებოდა, ყალიბდებოდა, ძლიერდებოდა და დღემდე ასეთი სიმაღლით მოაღწია ჩვენამდე ყველაზე დიდმა, ძლიერმა და კვლავ კიდევ ბევრის მსურველმა, ყველაზე ხანდაზმულმა დღევანდელ მსოფლიოში რუსულმა იმპერიამ. მას ყველაფერი აღიზიანებს, რაც მის ინტერესებს არ შეესაბამება. სხვებზე არც ჩვენ ვილაპარაკებთ, მხოლოდ გაკვრით აღვნიშნავთ ბოლო ერთი საუკუნის „დამსახურებებს“ საქართველოს წინაშე: 1921 წელი და მეთერთმეტე წითელი არმია, 1956 წლის 9 მარტი, 1989 წლის 9 აპრილი... და ახალი გვირგვინი – 2008 წლის აგვისტო, რომელმაც საბოლოოდ გამოააშკარავა რუსეთის, როგორც დიდმპყრობელური შოვინიზმით შეპყრობილი სახელმწიფოს სახე, რომლისთვისაც არავითარი მნიშვნელობა არა აქვს მსოფლიოს საზოგადოებრივ აზრს.

მაგრამ ამ ქვეყნის ხელისუფალთ, ვიმეორებთ ბატონ ბ. ჯანჯღავას სიტყვებს – პუტინებს, მედვედევებს, ივანოვებს, ლავროვებს... – ვერ გაუთვითცნობიერებიათ, რომ დღეს უკვე ოცდამეერთე საუკუნეა, რომლისთვისაც სრულიად მიუღებელია, დაუშვებელია იმპერია, აგრესია, სხვა ხალხთა და ქვეყანათა დამონება და დამორჩილება.

შორს რომ არ წავიდეთ, დამოუკიდებლობას ითხოვენ თათრეთი, სახა, ჩეჩნეთი, კიდევ სხვანი და სხვანი. ხელი უნდა შევუწყოთ მათს ობიექტურ და სამართლიან სწრაფვას... რუსეთის დაშლა იქნება დასასრული უკანასკნელი იმპერიისა.

ვეთანხმებით წერილის ავტორის აზრს იმასთან დაკავშირებით, რომ საერთაშორისო გაერთიანებები ჩაერთონ ქვეყნებისთვის მათი კუთვნილი ისტორიული ტერიტორიების აუცილებლად დაბრუნების საქმეში.

უნდა მივაღწიოთ, რომ იგივე პუტინები, მედვედევები, ივანოვები, ლავროვები, მათი ყურმოჭრილი მონები და დამქაშები გაასამართლოს საერთაშორისო ტრიბუნალმა საერთაშორისო სამართლის საფუძველზე.

საბოლოოდ უნდა დაიშალოს და მოისპოს რუსული აგრესიული იმპერიული ძალადობა.

ყოველივე ამის უგულებელყოფას შთამომავლობა არ გვაპატიებს.

**მედეა ქართველიშვილი,**
**იოსებ ქართველიშვილი,**
**გიორგი ჯანჯღავა,**
**ნუგზარ იზორია**

ხმა რუსეთიდან

### დიანა ღურწკაია:

# მე ქართველი ვარ, ჩემი შვილი – რუსი

**რუსული ინტერნეტგამოცემა „ნოვაია გაზეტა“ მომღერალ დიანა ღურწკაიას წერილს აქვეყნებს.**

„მე მახსოვს შიში. უბედურების მოლოდინის შიში 93-ში სოხუმის ბრძოლების დროს. გაუცხოების შიში, როდესაც გავრბოდი მშობლიური ქალაქიდან, მახსოვს საშინელი სიზმრები ომზე, მკაცრ და დაუნდობელ კავკასიურ ომზე, როდესაც კლავენ ბავშვებსა და ქალებს, როდესაც რისხვითა და სისხლით მთვრალი კაცები ივიწყებენ ღირსებასა და კეთილშობილებას. ეს იყო დიდი ხნის წინათ, მაგრამ შიში კვლავ დაბრუნდა.

ბოლო დღეები არ ვშორდები ეკრანს, მესმის მშობლიური ადგილების ტკივილი და ყვირილი. იქ კვლავ ომია. არ დუმდება ტელეფონი, დაწყვეტილი ხაზებიდან ახერხებენ დაკავშირებას ახლობლები და მეგობრები საქართველოდან: რას ველოდოთ, რისი იმედი გვქონდეს? ნუთუ დიდი კონფლიქტია რუსეთთან? აქაც მოსკოვშიც უნდათ გაიგონ ჩემი დამოკიდებულება მოვლენებისადმი. და როგორი უნდა იყოს ჩემი დამოკიდებულება, როდესაც იხოცებიან მშვიდობიანი მოქალაქეები, როდესაც ბრწყინვალე მზიანი მიწა სისხლითაა მორწყული?

ვის სჭირდება ეს? ვინ ატარებს ასეთ პოლიტიკას, რომლისგანაც ტანჯვა და სიკვდილია? ალბათ ცუდად ვერკვევი პოლიტიკაში.

მე ქართველი ვარ, ქმარი რუსია უკრაინული გვარით, შვილი, რომელიც ერთი წლისაა – რუსეთის მოქალაქეა. მე ორი სამშობლო მაქვს – საქართველო, სადაც დავიბადე, და რუსეთი, რომელმაც გამიხსნა გზა სცენისკენ, სადაც ვიპოვე სიყვარული და ბედნიერება. ახლა კი რუსული თვითმფრინავები და ტანკები „აიძულებენ მშვიდობას“ ჩემს ახლობლებს და მეგობრებს.

ნუთუ ხალხის საუკუნოვანი მეგობრობისა და სიმპათიიდან არაფერი დარჩა? ვის მხარეს უნდა იბრძოლოს ჩემმა შვილმა, როდესაც გაიზრდება? მინდა დავიჯერო, რომ ამ სიგიჟის შეჩერება შესაძლებელია, რომ მშვიდობა შესაძლებელია ქვემეხებისა და ძალადობის გარეშე.

მინდა დავიჯერო გვერდიგვერდ მტრობისა და სიძულვილის გარეშე მცხოვრები ადამიანების: რუსების, ქართველების, ოსების, აფხაზების. და მხოლოდ მათ კეთილ ნებას შეუძლია დააბრუნოს სიხარული და კეთილდღეობა კავკასიის მიწაზე და ღიმილი ბავშვების სახეებზე. იქნებ ბავშვებზე პირველ რიგში უნდა დაფიქრდნენ პოლიტიკოსები, ვიდრე გადაწყვეტილებებს მიიღებენ?

იქნებ რჩევა ჰკითხონ მოხუცებს, მრავლისმნახველებს, ვიდრე ბრძანებას გასცემენ ჯარებისთვის? მაგრამ მოდის შეტყობინებები წინა ხაზიდან და ადამიანებს შორის ნაპრალი უფრო დიდდება.

უმწიკვლო რეპუტაციის ადამიანმა – ვახტანგ კიკაბიძემ სიმბოლური სახელის – მეგობრობის ორდენი დააბრუნა. ნუთუ ოთხასწლიანი მეგობრობის შემდეგ ჩვენ ამდენივეწლიანი მტრობა გველოდება?



რაღაც უნდა იღონონ ბრძენმა, კეთილმა და ჭკვიანმა ადამიანებმა რუსეთსა და საქართველოში. ხომ არიან ასეთი ადამიანები...

პოლიტიკა ჩიხშია. რჩება საერთო რწმენა – ხალხთა ერთიანობა წმინდა ნინოთი და წმინდა ვლადიმერით. სწორედ მართლმადიდებელი ეკლესიის შეუვალ ავტორიტეტს შეუძლია ახლა ვითარების გადარჩენა. მე ამის მჯერა. ჩემი აზრით, ახლა მთავარი, რაც უნდა აკეთო, არის გწამდეს, გადადგა ნაბიჯები მშვიდობისაკენ და გჯეროდეს ღირსებისა და კეთილშობილების, მეგობრობისა და სიყვარულის. გჯეროდეს, იცოცხლო და გაზარდო ბავშვები მშვიდობისა და ბედნიერებისთვის“.

ჯი-ეიჩ-ენი

### ოლეგ ბასილაშვილი:

# მრცხვენია რუსეთის გამო, მრცხვენია საქართველოს ხელისუფლების ნაცვლად



**რუსული ინტერნეტგამოცემა „ნოვაია გაზეტა“ მსახიობ ოლეგ ბასილაშვილის კომენტარს ავრცელებს.**

დაბადების ადგილით, პასპორტით, ეროვნებით რუსი ვარ, მაგრამ ნახევარი სისხლი რუსული მაქვს ნახევარი კი – ქართული. ამ კონფლიქტში, რომელიც ახლა ხდება, მე ორნაწილად ვიყოფი. მე არ მტოვებს სირცხვილისა და უმწეობის გრძნობა. მე რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ვარ და მრცხვენია ჩვენს გამო, რუსეთის გამო.

რამდენიმე კითხვას ვუსვამ საკუთარ თავს. მაგალითად, ახლახან, ცხინვალში საომარი მოქმედების დაწყებამდე, ფართოდ გაშუქდა სამხრეთ ოსეთიდან რუსეთში – კრასნოდარის მხარის კურორტებზე ბავშვების გამოყვანა. რატომ გაკეთდა ეს? რა, ვინმემ იცოდა ოსეთზე სააკაშვილის მოულოდნელი თავდასხმის შესახებ? მეორე – როგორ რეაგირებას მოახდენდა რუსეთის ხელისუფლება თუკი ვთქვათ, „კონსტიტუციური წესრიგის დამყარების“ დროს ჩეჩნეთში რაიმე გვერდით ძალებს აშშ-დან ან საქართველოდან დაეწყოთ რუსეთის ჩეჩენი მოქალაქეებისათვის ამერიკული ან ქართული პასპორტების დარიგება, შემდგომ კი შემოეყვანათ თავიანთი ჯარები გროზნოში საკუთარი მოქალაქეების დაცვის საბაბით? ასე მოვიქეცით ჩვენ ამჟამად.

სხვათა შორის, ეს უკანონოდ გავაკეთეთ. დე იურე საბჭოთა კავშირის დაშლის დროიდან ოსეთი და აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში შედიოდნენ. რის საფუძველზე შეგვყავს იქ ჩვენ ჩვენი ჯარები? რის საფუძველზე ვბომბავთ ქართულ ქალაქ გორს? რის საფუძველზე ვესვრით ქართულ სოფლებს?



მე ახლახან ვიყავი სოფელ კარბში, სამხრეთ ოსეთის საზღვართან, იქ დაიბადა ჩემი მამა. ამჟამად ნათესავებიდან არავინ არ არის, მაგრამ, როდესაც იქ ჩავედი, მათ მკითხეს: ვინ ხარ შენ? მე ვუპასუხებ – შვილიშვილი ადამიანისა რომელიც ოდესღაც აქ ცხოვრობდა. და მე მომიწყვეს საოცარი შეხვედრა. მთელი სოფელი მაგიდასთან იჯდა. ამ სტუმართმოყვარეობით მთვრალმა ვიკითხე: თქვენ მე ალბათ ასე იმიტომ მხვდებით, რომ ტელევიზორში მხედავთ? მათ მიპასუხეს: ძვირფასო, შეხედე ჩვენს ხელებს, ტელევიზორი გვაქვს, მაგრამ მას არ ვუყურებთ. ჩვენ ვშრომობთ.

ახლა კი მე მოვისმინე ინფორმაციებში: რუსეთის არმიამ მოახდინა იმ საბრძოლო ბატარეის ჩახშობის მცდელობა, რომელიც ვითომ სოფელ კარბში იდგა. ესროდნენ სოფელს. სირცხვილია და თავსლაფის დასხმა. რაც შეეხება ჩემს მეორე ნახევარს – ქართულს, მე მცხვენია საქართველოს ხელისუფლების ნაცვლად. ცხინვალის მოსახლეობას შორის ვინ არ იყო – ოსები, რუსები, თათრები, ებრაელები, ქართველები და ხოცვა-ჟლეტაში, რომელიც ამა თუ იმ პოლიტიკური მოღვაწისთვის გაიმართა, დაიხოცნენ მოხუცები, ბავშვები. სირცხვილის გრძობა მქენჯნის. მე ვიცი, რითი დასრულდება ეს ყველაფერი – ამ ხოცვა-ჟლეტის ინიციატორები მკაცრად დაისჯებიან.

ჯი-ეიჩ-ენი

რას წერენ ჩვენზე

# რუსეთმა გამოააშკარავა ჩვენი ბლეფი იმ ქვეყნებთან დაკავშირებით, რომელთა დაცვაც ჩვენ არ შეგვიძლია



**ამ კვირაში სრულდება ზუსტად 40 წელი იმ მომენტიდან, როდესაც პრაღის ღამის ცა შეაზანზარა სატრანსპორტო თვითმფრინავების გუგუნმა. ქვეყნის საზღვრებს მოადგნენ ტანკები, დაიწყო შეჭრა ჩეხოსლოვაკიაში.**

დღეს რუსეთის სატანკო კოლონები დაძრწიან საქართველოს გზებზე. კიდევ ერთი პატარა ქვეყანა გულაღმა აგდია, რომელიც უსუსურია კრემლის სამხედრო ძალის წინაშე. ამავე დროს რუსი გენერალი აცნობებს პოლონეთს, რომ თუ იგი დაეთანხმება ამერიკული რაკეტების განთავსებას, გადაიქცევა ბირთვული იარაღის სამიზნედ.

მაგრამ დღევანდელ დღესა და 1968 წელს შორის არსებითი განსხვავებაა. ჯერ ერთი, ქართველები არ დანებდნენ წინაალმდეგობის გარეშე ჭარბ ძალებს – და ამას ამაყად გაიხსენებენ მომავალში. მეორეც, დღევანდელი მოვლენები ვერ მიაღწევენ ოკუპაციამდე. რასაკვირველია, ყველაფერი ჯერ კიდევ შეიძლება მოხდეს, მაგრამ ჯერჯერობით რუსეთის მოქმედება უფრო დამსჯელ ექსპედიციას ჰგავს.

რა უნდათ რუსებს? ეს ჯერჯერობით მსოფლიომ არ იცის. შეიძლება ეს თვითონ მათაც არ იციოდნენ; რუსეთი ტრადიციულად ერთვება ხოლმე კრიზისულ სიტუაციებში, როდესაც აქვს ერთი მეორის საპირისპირო გეგმები, შემდეგ კი მოქმედებს ვითარების შესაბამისად. მაგრამ ზოგიერთი ამ მოკლევადიანი მიზნებიდან უკვე ნათელია.

რუსებს სურთ გაანადგურონ საქართველოს სამხედრო შეიარაღება იმდენად საფუძვლიანად, რომ აღადგინონ თავიანთი პოტენციალი ამ დარგში დაახლოებით ათი წლის შემდეგ და არა უფრო ადრე. სწორედ ამას აკეთებენ ამჟამად ქვეყანაში მოხეტიალე რუსეთის ჯავშანსატანკო ნაწილები. საქართველო უკვე აღარასოდეს გაბედავს მათს ტერიტორიებზე შეტევას. მათ სურთ მოახდინონ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის სრული დისკრედიტაცია, რათა ქართველმა ხალხმა ჩამოაგდოს იგი თავისივე ხელით. მათ სურთ უჩვენონ მთელ მსოფლიოს, რა ფასად დაუჯდება საქართველოს ნატოსთან შეერთება და ამავე დროს დაადასტურონ, რომ ეს ქვეყანა მეტად წინასწარგანუჭვრეტელია, რათა გამოდგეს ალიანსის წევრის როლზე.

გამოსასვლელ დღეებში რუსეთის ჯარებმა შეწყვიტეს ცეცხლი, მაგრამ საქართველოს წამება გრძელდება. ჯარისკაცებზე უფრო საშიში სამოქალაქო პირები არიან, რომლებიც მიჰყვებიან ჯარისკაცებს კვალდაკვალ: ღიპიანი მამაკაცები ავტომატებით, სამხედრო კურტაკებში. ისინი ხოცავენ, ძარცვავენ და ხანძრებს აჩენენ, სამხრეთ ოსეთიდან სდევნიან უკანასკნელ ქართველ მოსახლეობას. ამჯერად მათ ხელში აღმოჩნდა მთელი ტერიტორია გორამდე. ისინი სდევნიან და ხოცავენ ქართველებს იქაც.

ეს ხალხი ოსები არიან, რომლებსაც ეხმარებიან ჩეჩენი მოხალისეები და რუსი ულტრაპატრიოტები – „კაზაკები". ერთი წლის წინათ ამ ოსთა უმეტესობა შეიძლება სავსებით მშვიდობიანად არსებობდნენ ადგილობრივ ქართველებთან მეზობელ სოფლებში. მაგრამ ომის ნაპერწკალი აღვივებს უგუნურობის ალს. გუშინდელ მეზობლებში ისინი ხედავენ უკვე გამყიდველებს, ჯაშუშებს, დივერსანტებს, ჩუბინებს.

ამჟამად დამრბევთა ძარღვებში ოსური სისხლი ჩქეფს, მაგრამ თუ სააკაშვილის მოულოდნელი თავდასხმა წარმატებით დამთავრდებოდა, მაშინ მკვლელები გახდებოდნენ ქართველები, ოსები კი – მსხვერპლი.

დაიწყო ქართველ დევნილთა გამოსვლა რეგიონიდან, მათ ელით საკუთარ ქვეყანაში გადაადგილებულ პირთა ხვედრი – უბინაობა, შიმშილი, დამცირება და ა.შ.

აფხაზეთის რესპუბლიკას, დამოუკიდებელს, მაგრამ არავისგან აღიარებულს, არ აქვს სხვა არჩევანი, გარდა იმისა, რომ დაეთანხმოს რუსეთის არაოფიციალურ ჰეგემონიას. თუმცა გულში აფხაზებისთვის ეს მიუღებელია. ისინი ოცნებობენ გაიჭრან ვრცელ საერთაშორისო სივრცეში, სწყურიათ ნამდვილი დამოუკიდებლობა. ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ სააკაშვილს შეეძლო გამოეყენებინა ეს განწყობილება, რომ დაეწყო აფხაზეთთან ურთიერთობა ნულიდან. ზოგიერთი ჟესტი და წინადადება მართლაც გაკეთდა. მაგრამ აფხაზმა ლიდერებმა, რომლებიც შეპყრობილი იყვნენ მჭმუნვარე ეჭვით, უარყვეს ისინი, მიიჩნიეს სუფთა დემონსტრაციულ ნაბიჯებად. სააკაშვილი, ირწმუნებოდნენ ისინი, დემაგოგი და ნაციონალისტია, რომელიც იღვწის დაიბრუნოს აფხაზეთი და ერთი ციცქნა სამხრეთ ოსეთი ძალით. დღეს მათ აქვთ ყველა საფუძველი განაცხადონ: „ხომ ხედავთ, ჩვენ სწორი ვიყავით".

დროა დასავლეთმა შეწყვიტოს საუბრები „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შესახებ" და აღარ უწოდოს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს „სეპარატისტული რეგიონები", თითქოს და მათი საქართველოსგან „უკანონო გამოყოფა" შეიძლება როგორმე გავაუქმოთ. არ გამოვა – ამ უნაყოფო ოცნებებს ბოლო მოეღო. დღეს დღის წესრიგში დგას სრულიად სხვა საკითხი: როგორ იქნეს აღიარებული მათი დამოუკიდებლობა და მიენიჭოს ამ დამოუკიდებლობას რეალური ხასიათი. მხოლოდ ასე შეუძლია დანარჩენ მსოფლიოს გაურთულოს რუსეთს იმის შესაძლებლობა, რომ გამოიყენოს ეს რეგიონები პაიკებად თამაშში, რისი მიზანიცაა საქართველოს თავისუფლების დარღვევა.

შეიძლება პატარა სამხრეთ ოსეთს, რომელსაც არ გააჩნია არავითარი ბუნებრივი რესურსები, უკვე აღარ შეუძლია იხსნას თავი რუსეთის პროტექტორად გადაქცევისაგან ანდა რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შესვლისაგან. მაგრამ აფხაზეთს, რომელსაც ადრე ჰქონდა აყვავებული კურორტები და განვითარებული სოფლის მეურნეობა, შეუძლია გახდეს აბსოლუტურად სიცოცხლისუნარიანი შავიზღვისპირა სახელმწიფო. ევროკავშირს აქვს შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებისათვის „კეთილი მეზობლობის პროგრამა". დადგა დრო, ბრიუსელმა შეწყვიტოს თავის ჩვენება, თითქოს აფხაზეთი არ არსებობდეს ბუნებაში. მან უნდა გაავრცელოს ამ პროგრამის მოქმედება და დაიწყოს აფხაზეთისათვის ენერგიული დახმარების გაწევა.

რაც შეეხება საქართველოს – ამ სასწაულებრივ პატარა ქვეყანას ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი ხალხით და ერთ-ერთი ყველაზე ცუდი პოლიტიკოსებით მსოფლიოში – იგიც უნდა შეიცვალოს. დამარცხება განიცადა არა საქართველომ, არამედ მისი ხელმძღვანელობის კონკრეტულმა პოლიტიკურმა კურსმა, რომელიც სულ უფრო და უფრო ხელს უწყობს რუსეთს. ახლა ჩვენთვის უკვე ცხადია: რუსეთის აღორძინება დიდი სახელმწიფოს ხარისხის დონემდე მიმდინარეობს მთელი სვლით. საქართველოს შემდეგ რიგში უკრაინაა: ამ ქვეყნის პოლიტიკოსების მცდელობა, შეუერთდნენ ნატოს, შეიძლება დამთავრდეს საშინელი კონფრონტაციით.

ნატოს ამერიკელებთან ერთად შეუძლია დაიცვას საკუთარი ქვეყნები ამ შანტაჟისაგან მტკიცე პოზიციით, მაგრამ დაუნდობელი ჭეშმარიტება შემდეგშია: თავი რომ შეინარჩუნოს, ალიანსმა არ უნდა მიიზიდოს თავის რიგებში ისეთი სახელმწიფოები, რომელთათვისაც იგი სულის სიღრმეში მზად არაა იბრძოლოს. ომის თავიდან აცილების საუკეთესო საშუალებაა უარი ვთქვათ ფუჭ სიტყვაობაზე და მტკიცედ დავიცვათ საიმედო წესები და ვალდებულებები. ბლეფს ამ სიტუაციაში შეუძლია მიგვიყვანოს ტრაგიკულ შედეგებამდე.

**ნილ ანდერსონი**

The Guardian

# კავკასია კოსოვო როდია

**რატომ არის, რომ პარალელები, რომლებსაც მოსკოვი ავლებს ბალკანეთსა და სამხედრო კონფლიქტის ახალ ზონას შორის, მცდარია?**

როდესაც ევროკავშირის ბევრმა ქვეყანამ და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა თებერვალში აღიარეს კოსოვოს დამოუკიდებლობა, რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმერ პუტინს შეეძლო გამოეხატა მხოლოდ სევდიანი დაშინებანი. კოსოვო სახიფათო მაგალითია, მთელი მსოფლიოს ყველა სეპარატისტს მოუნდება მისი მაგალითის გამეორება, სახელმწიფოები დაიწყებენ დაშლას. კავკასიაში ოთხდღიანი ომის შემდეგ მოსკოვს სურს, რომ მისი წინასწარმეტყველებანი გამართლდეს: ის, რაც მოხდა კოსოვოში, არ შეიძლება აუკრძალო სამხრეთ ოსეთს ან აფხაზეთს. ხალხმა თვითონ უნდა განსაზღვროს თავისი ბედი. ესე იგი, საქართველოს არ შეუძლია იარსებოს თავის წინანდელ საზღვრებში, ვინაიდან აფხაზებსა და სამხრეთ ოსეთის მცხოვრებლებს უკვე აღარ სურთ შედიოდნენ მის შემადგენლობაში.

მაგრამ რუსეთის მიერ გავლებული პარალელი მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს. ისტორია, პოლიტიკური ვითარებანი და ხალხის ჭეშმარიტი ნების ობიექტური გამოკვლევა ამ შედარების წინააღმდეგ მეტყველებენ. ის ვინც კავკასიას კოსოვოს ადარებს, მხოლოდ მიუთითებს საბაბზე, მაგრამ ვერ იძლევა საფუძველს გამოყოფისათვის.

მანამდე, სანამ ნატოს ჯარები შევიდოდნენ კოსოვოში, ალბანეთის მოსახლეობა განიცდიდა დევნას მილოშევიჩის ჯარების მხრიდან, რომელსაც სერბეთის ტერიტორიის გაფართოება სურდა. აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ყველაფერი ხდება პირიქით, ქართული მოსახლეობა იდევნებოდა ჯერ კიდევ 1990-იანი წლებიდან რუსეთის ბოევიკების მხარდაჭერით. სამხრეთ ოსეთში ეთნიკური ჯგუფები



მშვიდობიან დროს უპრობლემოდ მეზობლობდნენ ერთმანეთთან. დევნამდე ქართველები აფხაზეთში შეადგენდნენ მოსახლეობის მთელი შემადგენლობის 52 პროცენტს. ესე იგი, ისინი იყვნენ უმრავლესობა, აფხაზები შეადგენდნენ 21 პროცენტს. ამ დროს კოსოვოში უმრავლესობას ყოველთვის ალბანელები შეადგენდნენ.

**მეორე ლოგიკური შეცდომა:** იმ დროს, როდესაც კოსოვოში დასავლეთის მისია მრავალი წლის განმავლობაში ცდილობდა, გარანტია მიეცა სერბეთთან დროებითი კომპრომისული მოწესრიგებისათვის, რუსეთი წინააღმდეგობას უწევდა საქართველოს რეგიონში ნებისმიერ პოლიტიკურ პროგრესს, გასცემდა ადგილობრივ მოსახლეობაზე რუსეთის პასპორტებს და არ უჭერდა მხარს საშუამავლო ძალისხმევებს. ამით მოსკოვმა აჩვენა, რომ მას ურჩევნია მშფოთვარე ვითარება თავის საზღვრებზე.

**მესამე სხვაობა:** ევროკავშირი ყოველთვის აცნობებდა სერბეთს, რომ კოსოვოს დამოუკიდებლობა არის საშუალედო საფეხური, რომელიც გულისხმობდა რეგიონის ევროკავშირის სახურავქვეშ შესვლას. ამრიგად, ევროკავშირი ზრუნავს პერსპექტივაზე ორივე მხარისათვის და ახალი სერბული ხელმძღვანელობა სერიოზულად ეკიდება ამ დაპირებას. თუ ევროპა შეძლებს ამას, მაშინ იგი კიდევ უფრო სწრაფად გაიზრდება, ვიდრე ეს მოხდა ომის დროს.

რუსეთი, რომელიც ყოველთვის უარს ეუბნებოდა ხალხებს ქვეყნის შიგნით თვითგამორკვევაზე, იმედს იტოვებს შერიგებაზე და მისი ადვოკატის როლი ძნელად დასაჯერებელია ეთნოსთაშორისი პრობლემების გადაჭრის დროს.

მაგრამ მოსკოვი აკონტროლებს ამ ტერიტორიას. ამასთან დაკავშირებით განხეთქილება შესაძლებელია მაშინაც, თუ კოსოვოსთან შედარება შეცდომაა.

**შტეფან კორნელიუსი**

Süddeutsche Zeitung

# ჩვენ უნდა ვაიძულოთ მოსკოვი, დემოკრატიაზე ამ თავდასხმისთვის საფასური გადაიხადოს

**გუშინდელი თბილისი არ ტოვებდა იმ სახელმწიფოს დედაქალაქის შთაბეჭდილებას, რომელიც ომის მდგომარეობაში იმყოფება. მიუხედავად იმისა, რომ რუსული ტანკები იდგნენ ქალაქის მახლობლად მთავარ გზაზე, რომელიც გორისკენ მიდის, ხალხი თავის საქმეს აკეთებდა.**

ქალაქს აქვს დასავლური ეკონომიკის ენერგიულად განვითარების ყველა ნიშანი. ბილბორდები რეკლამას უწევენ დიზაინერულ პროდუქტებს. მარქსიზმ-ლენინიზმის ყოფილი ინსტიტუტი გახდა ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო, იმის შესახებ კი, რომ ყველაფერი რიგზე არ არის, მეტყველებდნენ მხოლოდ ძირს დაშვებული დროშები.

როდესაც საქართველოში ჩავედი, რათა შევხვედროდი სააკაშვილს, მეგონა ვნახავდი ქალაქს ალყაში. ამის ნაცვლად მე ვნახე ხალხი, როელიც ამჟღავნებდა ნებისყოფას გამწბილებელის მიმართ. როგორიც უნდა იყოს საქართველოს მოქმედებათა კრიტიკა, არ შეიძლება გამართლებული იყოს რუსეთის მიერ გამანადგურებელი სამხედრო ძალის გამოყენება მეზობლისა და დემოკრატიული სახელმწიფოს წინააღმდეგ. თავის მოქმედებებით რუსეთმა დასავლეთი გამოიწვია. შეკითხვა მარტივია: გაუძლებს კი დასავლეთი ამ დარტყმას?

დღითიდღე იზრდება იმის გაგება, თუ რას ნიშნავს რუსეთის შეჭრა საქართველოსთვის, რუსეთისთვის, რეგიონისა და მთელი მსოფლიოსათვის. და ამ გაგებას თან ახლავს იმის აუცილებლობის გათვითცნობიერება, რომ საჭიროა მყარი და გადაუდებელი პასუხი.

რას ნიშნავს ეს? **ჯერ ერთი,** ვილაპარაკოთ ზუსტად და არა ორაზროვნად იმის შესახებ, თუ რა მოხდა. არ არის დრო მიკიბულ-მოკიბული ლაპარაკისათვის. საჭიროა გავათვითცნობიეროთ სხვაობა სწორსა და არასწორს შორის. დემოკრატიულმა ქვეყნებმა დროა შეამჭიდროვონ თავიანთი რიგები. დროა, ჩვენი პარლამენტის დეპუტატებმა, რომლებიც განასახიერებენ მსოფლიოში ერთ-ერთ უძველეს დემოკრატიას, ერთსულოვნად აღიმაღლონ ხმა ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა დემოკრატიის დასაცავად. დღეს, საქართველოსათვის ამ მეტად მტკივნეულ პერიოდში, ეს ინსტინქტი აერთიანებს მთავრობასა და ოპოზიციას. **მეორეც,** ჩვენ გვჭირდება გადაუდებელი დიპლომატიური ძალისხმევა, რომელშიც ბრიტანეთს შეუძლია შეასრულოს ერთ-ერთი წამყვანი როლი. რუსეთის ჯარებმა დაუყოვნებლივ უნდა დატოვონ საქართველო ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების შესაბამისად, რომელსაც ხელი მოაწერა ორივე მხარემ.

**მესამეც,** რუსეთმა უნდა ზღოს თავისი საქციელისათვის. რუსეთს სურს საერთაშორისო აღიარება და პატივისცემა. ჩვენ მას ზუსტად უნდა ვაცნობოთ, რომ გზა, რომელიც მან აირჩია, მიიყვანს იზოლაციამდე და ზიზღამდე. ჩვენ უნდა შევაჩეროთ რუსეთის წევრობა „დიდ რვიანში", და გადავდოთ მოლაპარაკება ევროკავშირში პარტნიორობის შესახებ.

რუსული ელიტა აფასებს თავის კავშირებს ევროპასთან, სადაც იგი ხარჯავს თავის ფულს შესყიდვებსა და გართობებზე. ჩვენ უნდა ვიფიქროთ სავიზო რეჟიმზე რუსეთის მოქალაქეებისათვის. რუსეთის არმიებს არ შეუძლიათ შევიდნენ სხვა ქვეყნებში იმ დროს, როდესაც რუსი მყიდველები იპყრობენ სელფრიჯესის მაღაზიებს.

ნატომ უნდა შესთავაზოს საქართველოს, შეწყვიტოს თავისი გზა ალიანსის წევრობისკენ.

**მეოთხეც,** შეშფოთებას კვლავ იწვევს შეიარაღებული ფორმირებებისა და არარეგულარული ძალების მოქმედებანი. არსებობს იმის საშიშროება, რომ სამხედრო დაჯგუფებები დაიწყებენ ბოროტმოქმედებებს რეგულარული ჯარების ხელშეწყობით, როგორც ეს მოხდა ბალკანეთში. ცნობები ასეთი ინციდენტების შესახებ ყურადღებით უნდა იქნეს შესწავლილი და დამნაშავეები კი – დასჯილნი.

თუ მსოფლიო დუმილით დაუწყებს ყურებას იმას, როგორ ითელება რუსული ჩექმით საქართველო, მაშინ ენერგიულად განვითარებად დემოკრატიას ბოლო მოეღება.

**დევიდ კამერონი**

THE SUNDAY TIMES

ეპოქა

*სერიით „სტალინი. დიდი ეპოქა“ ამ ცოტა ხნის წინათ მოსკოვში გამოვიდა სერგეი კრემლიოვის წიგნი „ბერია — მე-20 საუკუნის საუკეთესო მენეჯერი“.*

*წიგნის შესავალ ნაწილში აღნიშნულია, რომ რუსეთის მტრების მიერ შექმნილმა „ჯალათისა“ და „ვამპირის“ სახემ ათეული წლებით დაფარა ლავრენტი პავლეს ძე ბერიას ნამდვილი პიროვნება. და ეს წიგნი, ნათქვამია გამოცემაში, ემსახურება მის სრულ ისტორიულ და მორალურ რეაბილიტაციას.*

*ადრეულ ახალგაზრდობაში ბერია ოცნებობდა ახალი ქალაქების აშენებაზე, მაგრამ მერე გახდა სტალინის შემდეგ დიდი სახელმწიფოს მეორე მშენებელი. მან შექმნა ახალი თბილისი და სასიკეთო ხელი დაატყო საქართველოს, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის პოსტზე აღადგინა კანონიერება. მისმა დაზვერვამ გააფრთხილა სტალინი ომის მოახლოების შესახებ. სწორედ ბერიამ მოამზადა მოსკოვის დაცვა და შეძლო კავკასიის შენარჩუნება. სტალინის მოადგილე თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტში თავისი მხრებით ეწეოდა სამხედრო წარმოებას, ომის შემდეგ კი გახდა ატომური და სარაკეტო დარგების ფუძემდებელი.*

*შემთხვევითი არ არის, რომ ბევრი მტერიც კი ლავრენტი პავლეს ძე ბერიას მიიჩნევდა „მე-20 საუკუნის საუკეთესო მენეჯერად“.*

*მხოლოდ დიდი მმართველი ბერია შეიძლებოდა გამხდარიყო სტალინის ღირსეული მემკვიდრე და მიეცა რუსეთში უფლებები და თავისუფლება არა ნომენკლატურისათვის, არამედ ხალხისთვის.*

*ამ დიდი ადამიანების, სტალინისა და ბერიას დიდი ეპოქის შესახებაა საუბარი წიგნში, — ნათქვამია გამოცემის შესავალში.*

*დიდი საარქივო და სხვა ისტორიული მასალების გაცნობის შემდეგ ავტორი ასკვნის: „გაოცებული დავრჩი ბერიას იმ სახით, რომელიც იკვეთებოდა სსრ კავშირის ატომური პროექტის ობიექტური დოკუმენტების ყურადღებით შესწავლის შემდეგ. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სპეციალური კომიტეტის თავმჯდომარე გამოიყურებოდა ახალი დარგის არა უბრალოდ ორგანიზატორად, არამედ...*

*დიახ, ის გამოიყურებოდა აგრეთვე როგორც მაღალი მორალური კონდიციის მქონე და გულითადი, გულისხმიერი ადამიანი“.*

*ვფიქრობთ, ს. კრემლიოვის ეს წიგნი ერთობ საინტერესო უნდა იყოს ქართველი მკითხველისათვის.*

*ამ წიგნიდან კუპიურებით გთავაზობთ რამდენიმე თავის თარგმანს.*

### სერგეი კრემლიოვი

# ლავრენტი ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

## ჯალათი თუ ბინძური პოლიტიკური შეთქმულების მსხვერპლი?!




### მსჯელობანი წიგნის არსზე, პირველწყაროებზე და კიდევ ზოგ სხვა რამეზე

თითქოსდა, წიგნის არსი ნათლადაა წარმოდგენილი ყდაზე — ესაა ლავრენტი პავლეს ძე ბერიას ბედი, მაგრამ სინამდვილეში ყველაფერი აგრე ნათლად როდია. ამიტომ, სანამ მუშაობას შევუდგებოდი, დიდხანს ვფიქრობდი,თუ როგორ გავრკვეულიყავი მის ცხოვრებაში ისე, რომ შეძლებისდაგვარად წარმომედგინა ამ ცხოვრების რეკონსტრუქცია და არა ვერსია. ახლა მოდაშია წიგნების სერია დამაინტრიგებელი სახელწოდებით „გასაიდუმლოებული ცხოვრებანი“. ლავრენტი ბერია არ ყოფილა საიდუმლო აგენტი — ახალგაზრდული წლებიდანვე ის გახდა, როგორც ამბობენ, საჯარო პიროვნება. და, მიუხედავად ამისა, თუ მისი ცხოვრების აღწერას შევიტანთ რომელიმე სერიაში, ძალიან მოუხდებოდა სახელწოდება „გასაიდუმლოებული ცხოვრებანი“.

ამის ბევრი მიზეზი არსებობს.

ერთ-ერთი მათგანია ის, რომ თითქმის ნახევარი საუკუნეა ბერიაზე ან არაფერს ლაპარაკობდნენ, ან ცრუობდნენ ისე, რომ მის შესახებ რაიმე, თუნდაც მცირე სწორი წარმოდგენის შექმნა შეუძლებელი იყო. ალბათ, მსოფლიო ისტორიის მხოლოდ კიდევ ერთი ფიგურის ამოგდებას ცდილობდნენ საზოგადოების მეხსიერებიდან ასევე დაჟინებით. ესაა ჰეროსტრატე, რომელმაც 356 წელს ჩვენს ერამდე, ალექსანდრე მაკედონელის დაბადების ღამეს, დაწვა ეფესში არტემიდას ტაძარი.

ბერია კი არ ანგრევდა, ქმნიდა, მაგრამ მასაც დაჟინებით დევნიდნენ ოფიციალური ისტორიიდან. ხოლო თუ რაიმე სახელს უქმნიდნენ, მხოლოდ ჰეროსტრატესი. მაგრამ დრო მართლაც, ადრე თუ გვიან, ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს, მაშინაც კი, თუ ვინმეს ისტორიიდან ამოჭრიან ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით — პირდაპირ სამართებლით, როგორც ეს გააკეთეს ბერიასთან დაკავშირებით.

ბერიაზე კეთილი სიტყვის თქმა — როგორი ფაქტებითაც არ უნდა იყოს გამაგრებული — ადვილი როდია. ისიც კი, ვისაც ბერიას შესახებ მოჰყავს ღრმად დადებითი ცნობები პირადი ურთიერთობებიდან, შიშით იხევს უკან: აიო, ბერია, რასაკვირველია, „მტარვალია“ და „გულაგის შემქმნელი“, მაგრამ ჩემთან ურთიერთობაში ადამიანურად იქცეოდაო, დედასაც არ იგინებოდაო. ისე კი, ვის შეიძლება ეჭვი ჰქონდეს, რომ ის „ჯალათია“?

ბერიას ფენომენთან დაკავშირებით უნდა ითქვას ისიც, რომ მას ჯერ ცილი დასწამეს, შემდეგ კი საერთოდ ამოჰკვეთეს ქვეყნის ისტორიიდან იმიტომ, რომ დამნაშავე იყო არა ბერია, არამედ მისი მაქაგებლები და გამანადგურებლები.

ბერიას სახელმწიფო პოტენციალი, ამ ხრუშჩოვებთან და მალენკოვებთან შედარებით, იმდენად დიდი გახლდათ, რომ საჭირო იყო მისი ნამოქმედარი ჩაფლულიყო ტალახში. სწორედ იქ დამალეს.

იმის გარჩევა, თუ სად იყო ბრალი და სად სამართალი, ძნელია. თანაც, პირველადი ცნობები ბერიას შესახებ სამეცნიერო სფეროში ბევრი როდია, რაც გასაგებიცაა: აბა, შეეცადე იმათამდე მიღწევას, დახშულ არქივებში რომ არიან! არის კი სამოცდაათი და მეტი წლის წინანდელ არქივებში ყველა ფაქტი? ანდა რამდენია ამ არქივებში „ფაქტები“ წინწკლებში?

არქივების განადგურება დაიწყო უკვე ხრუშჩოვმა, გორბაჩოვის დროს ეს ხაზი წარმატებით გრძელდებოდა, „მდიდრდებოდა“ სტრატეგიულ სიყალბეთა დამზადების პრაქტიკით.

ელცინის დროს ხომ კიდევ...

პუტინის „რუსეთელობისათვის“ ისტორიული საარქივო დოკუმენტების განადგურებისა და ფალსიფიკაციის პროცესი დამახასიათებელი არაა, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ პუტინის წინამორბედებმა ამ მხრივ უკვე შეასრულეს უზარმაზარი სამუშაო. სიცრუე დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის, „თეთრ და ფუმფულა“ თეთრგვარდიელების, ლენინისა და სტალინის, დიდი სამამულო ომისა და „სამოცდაათწლიანი“ მონობის შესახებ მიჩქმალულია უკიდურესობამდე...

მაგრამ ბერიას შესახებ ყველა დადებითი მოწმობის დაჯერება არ შეიძლება, განსაკუთრებით, თუ ის მოდის, ვთქვათ, ბერიას შვილის — სერგოსაგან, რომელმაც დაწერა გახმაურებული წიგნი „მამაჩემი — ლავრენტი ბერია“. ამ წიგნში ცოტა როდია აშკარა გამონაგონი. აი, თუნდაც, სერგო ნამდვილად არ ყოფილა 1949 წელს ჩვენი ატომური პირმშოს რდს-ის გამოცდაზე. აქ ის ძალიან ბევრ დეტალში არაა ზუსტი. ფანტასტურია მისი მტკიცებანი იმის შესახებ, რომ მამამისის ცალკე სახლის სტუმარი და მოსაუბრე 1939 წლის ბოლოს იყო რობერტ ოპენჰაიმერი. სრულიად წარმოუდგენელია, ბერია შვილის თანდასწრებით შეხვედროდა გერმანიის წყალქვეშა ნავის მეთაურს, რომელიც საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ბაზაში ჩამოვიდა ომის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე, რათა მისთვის ეცნობებინა ბრძანება ერთი კვირის შემდეგ საბჭოთა გემების ჩაძირვის შესახებ.

ოღონდ, როცა სერგო წერს, რომ ლავრენტი იყო თავმდაბალი, უყვარდა აქტიური დასვენებაო, — ამის დაჯერება შეიძლება.

ასევე აშკარად სარწმუნოა სერგო ლავრენტის ძის ცნობა იმის შესახებ, რომ მამა არ იყო წინააღმდეგი, როცა მის შვილს ადრეულ ახალგაზრდობაში უნდოდა ავტომობილით სეირნობა, თუმცა, მხოლოდ მას შემდეგ (თანაც, გამოცდილი მექანიკოსების დახმარებით), რაც ძველი ნაწილებით ააწყობდა „ფორდიკს“ სამგზავროდ.

უცხოური ჟურნალების დასტა სათარგმნად ბერიას, რამდენადაც მესმის, მართლაც მოჰქონდა შვილისათვის, ასწავლიდა მას შრომის ჩვევებს, ენების ათვისებას.

ეს თითქოს წვრილმანია... მაგრამ ასეთი წვრილმანები სანიმუშოა, ისინი მეტყველებენ პიროვნების არსსა და ხასიათზე.

მეტყველებენ ძალიან ბევრზეც.

ისიც შეიძლება დაუჯერო იმავე სერგოს, რომ პროფკავშირულ მოღვაწეებს ბერია უსაქმურებს უწოდებდა იმიტომ, რომ მაღალი პროფკავშირული ლიდერების დონეზე (მათთან, რასაკვირველია, ბერიას ჰქონდა ურთიერთობაძ ეს უმთავრესად მართლაც ასე იყო. ბერია კი, საქმის კაცი, მოლაყბეებსა და უსაქმურებს ვერ იტანდა, როგორც სტალინი.

სავსებით შეიძლება დაუჯერო იმ ისტორიკოსებსა და მემუარისტებსაც, რომლებიც ბერიასადმი არ იყვნენ ლოიალურები, მაგრამ მათი მასალებიდან იკვეთება ობიექტური დასკვნები (როგორც, მაგალითად, რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის კონსტრუქტორის კისუნკოს მემუარებიდანძ, რომლებიც მას დადებითად ახასიათებენ. ეს ინფორმაცია ხომ სწორია!

რაც შეეხება ძირითადად მემუარებს, იქ შეიძლება სადღაც მეხსიერებამ გიღალატოს, ზოგჯერ — სინდისმაც. არ არის გამორიცხული გვიანდელი ჩანართებიც. აი ის კი, ვიმეორებ, ხომ ძალიან ხშირად ხდება, როცა საქმე გვაქვს გეზელსისეული ნიმუშის სიცრუესთან!

გამოჩენილი რუსი ნევროპათოლოგის, ფსიქიატრისა და ფსიქოლოგის, მორფოლოგისა და ნერვული სისტემის ფიზიოლოგის ვლადიმერ მიხეილის ძე ბეხტერევის შვილიშვილმა, აკადემიკოსმა ბეხტერევამ 1980-იანი წლების ბოლოს განაცხადა, რომ ბაბუამისმა სტალინს სამედიცინო გამოკვლევის შემდეგ თითქოს მას პარანოიკი უწოდა, რისთვისაც მოწამლეს კიდეცო.

ეჰ, რამდენი „დემოკრატიული“ გამოაშკარავება მოჰყვა ამ განცხადებას. მაგრამ, აი, ყოველკვირეული გამოცემის — „არგუმენტი ი ფაქტი“ — 1995 წლის № 32-ში შვილიშვილი-აკადემიკოსი აღიარებს: „ეს იყო ტენდენცია, გამოეცხადებინათ სტალინი გიჟად, მათ შორის თითქოსდა ბაბუაჩემის გამონათქვამებიც, მაგრამ არავითარი მსგავსი არ ყოფილა... დაიწყეს ჩემი დამუშავება, და მეც იძულებული გავხდი დამედასტურებინა, რომ ასე იყო...“

დაუფიქრდი, ძვირფასო მკითხველო, ამ აღიარებას!

ეგ კია, რომ ამ აღიარების შემდეგაც დადიოდა ნატალია ბეხტერევა დედამიწაზე და ფეხიც არ უკანკალებდა, იმის ნაცვლად, რომ საჯაროდ, ტელეკამერების წინ მუხლებზე დაჩოქილი მისულიყო ლენინის მავზოლეუმის უკან და სტალინის საფლავზე საჯაროდ მოენანიებინა.

სამწუხაროდ, ყველაზე დიდი მომნანიებელიც კი ვერ გააკეთებს ამას ლავრენტი ბერიას საფლავზე. ეს საფლავი ხომ არ არსებობს.

სამაგიეროდ, არის დოკუმენტები — თუმცა ბევრ მათგანს კრიტიკულად უნდა მიუდგე. არის მემუარები, ისტორიული ნაწარმოებები და ასე შემდეგ... მაგრამ ბევრ „დამოწმებას“ სჯობია, რომ არ ენდო.

ეს იმის ცდუნება როდია, რომ მოიშორო შენთვის უხერხული ინფორმაცია, არამედ ესაა სტალინის ეპოქის, მისი წამყვანი ფიგურების, მათ შორის ბერიას მასშტაბური საქმეების გაშავება და ჩირქის მოცხება ხრუშჩოვ-გორბაჩოვ-ელცინისეული.

ბერიაზე სარწმუნო დოკუმენტები მაინც არის, უწინარეს ყოვლისა ესაა გააშკარავებული, საიდუმლოებამოხსნილი „ატომური“ არქივების მასალები. ეს უტყუარი დოკუმენტებია — კარგი გზისგამკვლევი ძაფი ობიექტური კვლევებისათვის.

თანაც, მათი სიზუსტე გარანტირებულია.

(გაგრძელება იქნება)

◉ ოლიმპიადა

# შილბლო სტარტი



**გუშინ პეკინის ხალიჩაზე მედლებისთვის ბრძოლაში თავისუფალი სტილით მოჭიდავეები ჩაებნენ. ქართველთაგან შეჯიბრებაში იასპარეზა ბესიკ გუჩაშვილმა (55 კგ.ძ, რომელიც ჯერ ამერიკელთან დამარცხდა, მერე — ბულგარელთან და შეჯიბრებას გამოეთიშა.**

**გაუწყებთ ზოგიერთ სახეობაში გამართული შეხვედრების შედეგებს:**

**ტრიატლონი. ვაჟები.** 1. ჯან ფროდენო (გერმანიაძ, 2. სიმონ ვაიფელდი (კანადაძ, 3. ბევან დოკერი (ახალი ზელანდიაძ.

**ფრენბურთი. ქალები. მეოთხედფინალი.** კუბა — სერბეთი 3:0, ბრაზილია — იაპონია 3:0.

**წყალბურთი. ქალები.** ჩინეთი — იტალია 10:7, აშშ — ავსტრალია 9:8.

**ბეისბოლი.** კანადა — ჰოლანდია 4:0, ჩრდილოეთ კორეა — კუბა 7:4.







# რეკორდების თავსხმა

**შემთხვევით როდი უწოდეს ოლიმპიურ თამაშებს მსოფლიო სპორტის დღესასწაული. მართლაც რომ, სასწაული მოახდინა ბევრმა სპორტსმენმა პეკინის სტადიონებსა თუ აუზებში, სარბენ თუ საცურაო ბილიკებზე, სახტომ თუ სატყორცნ მოედნებზე.**



განა საოცარი არ იყო ამერიკელი მოცურავის მაიკლ ფელპსის პეკინური ასპარეზობების შედეგები — 8 ოქროს მედალი, 7 მსოფლიო რეკორდი?

შეიძლება ითქვას, მიუღწეველს მიაღწია იამაიკელმა უსაინ ბოლტმა — მან 100 მეტრი გაირბინა დაუჯერებელ დროში — 9,69 წამში. ალბათ უძლიერესი წინასწარმეტყველებიც კი ვერ იტყვიან, თუ როდის და ვინ შეძლებს ასე სირბილს. ალბათ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ 100 მეტრი ბოლტისთვის მთავარი დისტანცია არ იყო, ის ხომ 200 მეტრზე არავის უთმობდა ჩემპიონობას. ვნახოთ, რას იზამს ის დღეს.

ჭოკით მხტომელ ელენა ისინბაევას რომ ტოლი არა ჰყავს, არახალია. ის მრავალგზის მსოფლიო ჩემპიონი და რეკორდსმენია. ასე იყო პეკინშიც. ელენამ ოლიმპიური ჩემპიონობა ჯერ კიდევ მაშინ გაინაღდა, 4,85 მეტრზე რომ გადახტა და მას ველარ „მისწვდნენ" მისი მთავარი მეტოქეები — ამერიკელი ჯენიფერ სტუჩინსკი და თანამემამულე სვეტლანა ფეოფანოვა — შესაბამისად, 4,80 და 4.75. მაგრამ ელენა მხოლოდ ჩემპიონობით არ დაკმაყოფილდა, მსოფლიოს ახალ რეკორდს შეუტია და დიდი ხნის ნანატრიც აისრულა — 5,05 მეტრზე გადაჭიმულ თამასას გადაევლო. მოდი და, სასწაულად ნუ მიიჩნევ!

◉ ათლეტიზმი

# აზერბაიჯანელები დაეხმარნენ

**უკვე გაუწყეთ, რომ საქართველოს წარგზავნილებმა ათლეტიზმში მსოფლიო თასი მოიპოვეს. გუშინ ფილადელფიიდან დაბრუნებულ ნაკრების მთავარ მწვრთნელ ზურაბ ჭავჭანიძეს ვესაუბრე.**

— შეჯიბრებაში ამერიკის, კანადის, ინგლისის, ბრაზილიის, პუერტორიკოს და გვატემალის 200-მდე წარმომადგენელი იბრძოდა მთავარი პრიზისთვის. — მითხრა მან. — ორგანიზატორებმა ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით სპეციალური მაისურები გამოუშვეს საქართველოს და ამერიკის ეროვნული დროშებით. მთელი ასპარეზობის განმავლობაში ყურადღება არ მოგვკლებია. ტელევიზიები 24 საათი რუსულ-ქართული ომის ფრაგმენტებს უჩვენებდნენ მაყურებლებს. უბრალო ადამიანები, სამხედრო ვეტერანები მოდიოდნენ და გვეუბნებოდნენ — ბრძოლას თუ აპირებთ, ქართულ არმიაში მოხალისეებად ჩავეწერებით, რუსების განდევნაში დაგეხმარებითო. მთელ ამერიკაში ჩვენი ჩრდილოელი მეზობლების მიმართ მტრული დამოკიდებულება იგრძნობა.



ტელევიზიით გამოსვლისას ერთ-ერთ ამერიკელ გენერალს ჰკითხეს, როგორ ფიქრობთ, როდის გავლენო რუსები საქართველოდან.

— არ მგონია, ეს მალე მოხდეს, — უპასუხა მან. — კოსოვოდან გასვლაზე მათ 36-ჯერ მოაწერეს ხელი, მაგრამ სანამ არ დავემუქრეთ, ფეხიც არ მოუცვლიათო. ქვეტექსტი აშკარად იგრძნობა — ამერიკა პატარა საქართველოს ძალით უნდა დაეხმაროსო. საკმაოდ მწვავე გამოსვლები ჰქონდათ პრეზიდენტობის კანდიდატ მაკკეინსა და კონდოლიზა რაისს.

**— სამშობლოში დაბრუნება როგორ მოახერხეთ?**

— თბილისამდე ფრენა რომ არ იყო, გადავწყვიტეთ, ბაქოს გავლით ჩამოვსულიყავით. სტამბოლის აეროპორტში აზერბაიჯანის ძიუდოს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ნაბი შუქურლუ გამოგვეცნაურა, რომელიც პეკინის ოლიმპიადიდან ბრუნდებოდა. ფილადელფიაში მოპოვებული გამარჯვება მოგვილოცა და რუსებთან ომში დაღუპულ ქართველთა გამო მოგვისამძიმრა.

ბაქოში რომ ჩავფრინდით, აზერბაიჯანელ მეზაჟეებს არც გავუსინჯივართ, ისე გამოგვატარეს გამშვებ პუნქტზე. აეროპორტში ბატონ ნაბის იქაური სპორტის მესვეურები დახვდნენ. ჩვენი თავი გააცნო, მერე საკუთარი მანქანებით რკინიგზის სადგურამდეც წამოგვიყვანეს, ბილეთები აგვიღეს და მანამ არ დაგვემშვიდობნენ, სანამ მატარებელში არ ჩაგვსხეს. მადლობის მეტი რა გვეთქმის.

**ესაუბრა**
**გიორგი გაგუა**

**სურათზე: ქართველი ათლეტები ნაბი შუქურლუსთან (ცენტრშიძ ერთად.**

◉ დებიუტის წინ

# ვინ დაგთარსა, ექტორ?



**მაინც, რა ბედი ჰქონია ექტორ რაულ კუპერს — დაინიშნა კიდეც არგენტინელი სპეციალისტი საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელად და ჩვენი ქვეყანა რუსი ოკუპანტების სათარეშოდ იქცა. ჰოდა, რაღა გასაკვირია, რომ ახალი მწვრთნელის სადებიუტო შეხვედრას ფორსმაჟორული ვითარება ახლავს თან.**

ეს დღეს ქალაქ სუონსიში მოხდება, სადაც უელსელები „ჯვაროსნებს" უმასპინძლებენ. აღნიშნული მატჩის გამართვა უკვე ნახსენები მიზეზის გამო ეჭვქვეშ დადგა, თუმცა საბოლოოდ ჩვენი დელეგაციის მგზავრობასთან დაკავშირებული ყველა საკითხი მოგვარდა, რაშიც მეზობელი აზერბაიჯანის შესაბამისმა ორგანიზაციებმაც შეიტანეს წვლილი. სწორედ ბაქოში შეიკრიბნენ ნაკრების ის წევრები, ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე კლუბების სპორტულ ღირსებას რომ იცავენ და იქიდან გაფრინდნენ ბრიტანეთში, ლეგიონერებმა და კუპერმა კი დანიშნულების პუნქტამდე ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან ჩააღწიეს.

დღესვე კიდევ რამდენიმე საინტერესო ამხანაგური თამაშია დანიშნული: დანია — ესპანეთი, რუსეთი — ჰოლანდია, საფრანგეთი — შვედეთი.

◉ ფაქტი

# გაშიშვლდა ცხოველთა გადასარჩენად

**ეს პიკანტური აქცია პეკინში მოაწყო ოლიმპიური თამაშების ერთ-ერთმა ულამაზესმა მონაწილემ, ცურვაში ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა ამანდა ბირდმა — ამით მან გაილაშქრა ბეწვეულისთვის ცხოველთა ხოცვის წინააღმდეგ. აქცია მიმდინარეობდა ორგანიზაციის PETA („ადამიანები ცხოველებისადმი ეთიკური დამოკიდებულებისათვის"ძ პატრონაჟით და დიდი ინტერესი გამოიწვია როგორც ჟურნალისტებში, ისე ადგილობრივ მცხოვრებლებში.**

ოლიმპიურ სოფელში ცნობილი სპორტსმენი, როგორც ფოტომოდელი პოპულარული რომაა ჟურნალების Maxim, FHM lf Pleyboy მამაკაც მკითხველებში, ფოტოგრაფების წინაშე პოზიორობდა თავის გამოსახულებიანი სააგიტაციო პლაკატით — ის ამერიკული დროშის ფონზე წყალში მუხლებზეა დაჩოქილი. ბანერს კი, მოსდევს წარწერა „იგრძენით კომფორტი თქვენს კანზე, ნუ შეიმოსებით ბეწვეულით!"

„გული მისკდება, როცა წარმოვიდგენ ცხოველს, ცოცხლად ტყავს რომ აძრობენ. ოლიმპიური თამაშები კი დიდებული პლატფორმაა ადამიანებთან ჩემი გზავნილის მისატანად — ნუ ხოცავთ უდანაშაულო ცხოველებს!" — განაცხადა ამანდამ.

ამანდა შესულია ოლიმპიადის მონაწილე ყველაზე სექსუალურ სპორტსმენ ქალთა ათეულში — ის მეხუთე ადგილზეა.



№ 155. ოთხშაბათი, 20 აგვისტო, 2008 წელი.

◎ დევნილები

# ვის როგორ „უმართლებს“, თუ ამას გამართლება ჰქვია







**მეთექვსმეტე წელია, საქართველო თავისივე დევნილი მოქალაქეების აღრიცხვა-დაბინავებას ვერ აუდის. ასიათასობით დევნილს ბოლოდროინდელმა მოვლენებმა კვლავ ათასობით ადამიანი შემატა ცხინვალის რეგიონიდან და დასავლეთ საქართველოდან.** როგორც წესია, მათი უმეტესობა დედაქალაქმა შეიფარა. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან მიღებული ჰუმანიტარული დახმარება მართლაც სოლიდურია, ბევრი დევნილი მაინც ულუკმაპუროდ და დახმარების გარეშეა დარჩენილი. სწორედ ამ გაუსაძლისმა მდგომარეობამ აიძულა ისინი გუშინ პროტესტის ნიშნად გადაეკეტათ დედაქალაქის ყაზბეგის გამზირი. ისინი ელემენტარულს ითხოვდნენ — ხელისუფლების ყურადღებას. ამ შემთხვევაში პატრული უძლური აღმოჩნდა, გაეხსნა გზა. დევნილებმა, როგორც ყოველთვის, ზემდგომი ორგანოებიდან დაპირებები მიიღეს და გზაც გაიხსნა.

რაც შეეხება საირმის ქუჩაზე მდებარე ანასტასია ვირსალაძის სახელობის ხელოვნების გალერეაში შესახლებულ დევნილებს (მათი უმეტესობა გორიდან და მისი მიმდებარე სოფლებიდან არიანძ მართლაც გაუმართლათ. გიმნაზიის ხელმძღვანელის ხათუნა კერესელიძის თქმით, მათ 75 დევნილი შეიფარეს, აქედან 29 ბავშვია. პირობები? — საუკეთესო. საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წარმომადგენლებმა მათ გადასცეს საშხაპე კაბინები, წყლის გამაცხელებლები, მაცივრები (ერთი მაცივარი გიმნაზიის ხელმძღვანელობამ დაუთმო დევნილებსძ, საწოლები, პირადი ჰიგიენის ნივთები, უამრავი სათამაშო ბავშვებისთვის. დროებით შეკედლებულებს საშუალება აქვთ, გიმნაზიის ფოიეში ისარგებლონ მუსიკალური ინსტრუმენტებით, ფერადი ტელევიზორებით. მათთვის ჯანდაცვის სამინისტრომ გამოჰყო მედპერსონალი. გიმნაზიის პედკოლექტივი ყოველგვარ ღონეს ხმარობს, რათა უსახლკაროდ დარჩენილმა დევნილებმა დედაქალაქში დროებით მოიშუშონ „მოძმე ერთმორწმუნე ერისგან“ მიყენებული ჭრილობები. პატარა დევნილებს სიზმრად გაახსენდეთ ყოველივე რაც მოხდა.

**ელგუჯა ნადარეიშვილი,**

**სურათებზე: დევნილთა მიერ გადაკეტილი ყაზბეგის გამზირი; საირმის ქუჩაზე გიმნაზიაში დევნილები თავს უსაფრთხოდ და კომფორტულად გრძნობენ.**

**ავტორის ფოტო.**

◎ თანადგომა

# „ყველანი განვიცდით თქვენს ტრაგედიას“

## გვეხმაურებიან მსოფლიო კონგრესის მონაწილენი

**2008 წლის ივლის-აგვისტოში სამხრეთ კორეაში, სეულში მოეწყო მეტად მნიშვნელოვანი სამეცნიერო ფორუმი — ჩატარდა 22-ე მსოფლიო ფილოსოფიური კონგრესი, რომლის ერთ-ერთი სხდომა მთლიანად მიეძღვნა ახლად დაარსებული ქართულ-ამერიკული ჟურნალის „კულტურა და ფილოსოფია“ პრეზენტაციას. ჟურნალის ეს პირველი ნომერი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ და საქართველოს სახელმწიფო სამხატვრო აკადემიამ დააფინანსეს. მსოფლიო კონგრესზე ჟურნალის პრეზენტაცია ჩაატარეს ჟურნალის რედაქტორებმა, პროფესორებმა ჯორჯ მაკლეინმა (აშშ) და პროფესორმა მამუკა დოლიძემ (საქართველო). პრეზენტაციამ წარმატებით ჩაიარა. ცხრა ქვეყნის 18-ზე მეტმა უცხოელმა მეცნიერმა გამოთქვა სურვილი, ითანამშრომლოს ჟურნალთან.**

კონგრესის შემდგომ, რუსეთ-საქართველოს ომის პერიოდში, მამუკა დოლიძემ ჟურნალის სახელით გაავრცელა მიმართვა, მსოფლიო კონგრესის წევრებისადმი, რომელსაც გამოეხმაურა ამერიკის, ევროპის და აღმოსავლეთ ქვეყნების მრავალი მეცნიერი და პოლიტიკური მოღვაწე.

გთავაზობთ ამ გამოხმაურებებს მცირეოდენი შემოკლებით:

**„ყველანი განვიცდით თქვენს ტრაგედიას. იმედი გვაქვს, რომ ეს პრობლემა თქვენს სასარგებლოდ გადაწყდება.“ პროფესორი პეტერ სკინერი (ინგლისი. ლონდონიძ.**

**„გავიგეთ ამ საშინელი აგრესიის შესახებ და ვავრცელებთ ინფორმაციას ყველგან. პროფესორი ხაბიერ ინსაუსტი (ესპანეთი, სან-სებასტიანოძ.**

**„თავზარდაცემულნი ვართ, საქართველოს მიმართ რუსული აგრესიის გამო. დიდ მწუხარებას განვიცდით თქვენს ხალხთან ერთად“. პროფესორი სირაჯუ ისლამი (ინდოეთი, სანტინიკეტანი, ვისვა ბჰარატის უნივერსიტეტი).**

**„გუშინ რიგაში მოეწყო ათასკაციანი დემონსტრაცია რუსული საელჩოს წინ. ჩვენ ვუსურვებთ თქვენს ხალხს გონივრულ ქმედებას, რომ ომისშემდგომი სიტუ-**



**აცია არ გადაიზარდოს ქაოსში. იმედი გვაქვს, ამ საზარელ მდგომარეობას ბოლო მოეღება. საქართველო დაადგება დასავლური განვითარების გზას“. პროფესორი მაია კიული (ლატვია, რიგა, ლატვიის უნივერსიტეტიძ.**

**„მეტად სამწუხაროა, რაც თქვენთან ხდება. მე ვწერ პეტიციას, რომელსაც გავავრცელებ ჩემს კოლეგებსა და მთელ საზოგადოებაში. მხარს გიჭერთ! უფალი იყოს თქვენი შემწე! საქართველო თავისუფალია!“**

**საუკეთესო სურვილებით**

**პროფესორი ჰუნდი დაი (ჩინეთი, ჩინგქვინგი, საუთვესტის უნივერსიტეტი. ესუტიკის ინსტიტუტის დირექტორიძ.**

**„რუსეთის სამხედრო აგრესია საქართველოს წინააღმდეგ მეტად გადაჭარბებული რეაქციაა მომხდარ კონფლიქტზე. სამხედრო დაპირისპირება დიალოგით უნდა შეიცვალოს. საქართველო უნდა გახდეს ნეიტრალური ქვეყანა.**

**პროფესორი აშ გოუბარი (აშშ კენტუკის შტატი; ტრანსილვანიის უნივერსიტეტიძ.**

**„მივიღე თქვენი წერილი და ვავრცელებ მას ჩემი ქვეყნის მასშტაბით. ვფიქრობთ თქვენზე. ლიტველები თქვენს ტრაგედიას მძიმედ განვიცდით. უფალი იყოს თქვენი შემწე!**

**პროფესორი იურატ მორკუინი (ლიტვა, ვილნიუსი, მიკოლას რომეროს უნივერსიტეტიძ.**

**„ნება მომეცით გამოვხატო ჩვენი მხარდაჭერა ქართველი ხალხის მიმართ ამ უმძიმეს ვითარებაში. თქვენ პეტიციას ვავრცელებთ რაც შეიძლება ვრცლად.**

**პროფესორი ანატოლი კარასი (უკრაინა, ლვოვი. ნაციონალური უნივერსიტეტიძ.**

**„იმედი მაქვს, რომ თქვენ და თქვენი ახლობლები გადაურჩით ამ საშინელ ტრაგედიას. მე ვავრცელებ ჩვენს ხელმოწერებს“.**

**პროფესორი ჰარვი ბრაუნი (ინგლისი, ოქსფორდი, ოქსფორდის უნივერსიტეტიძ.**

**„პროტესტს ვაცხადებთ საქართველოს მიმართ კრემლის კოლონიალური და კრიმინალური ინტერვენციის გამო!“**

**პროფესორი პაბლო ლოპესი (ესპანეთი, მადრიდიძ.**

უცხოელ მეცნიერთა ასეთი ერთსულოვანი მხარდაჭერა და ამ ჟურნალის გარშემო მათი გაერთიანება იმედია გახდება საქართველოს მშვიდობიანი განვითარებისა და სამეცნიერო აღმავლობის ერთ-ერთი გარანტი.

**ჯაბა კუტალია**

# დევნილთა საყურადღებოდ

**კონფლიქტის ზონებიდან დევნილი მოსახლეობის რეგისტრაციის საკითხებთან დაკავშირებით, გუშინ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თავმჯდომარემ გიორგი ვაშაძემ პრესკონფერენცია გამართა.**

მისი თქმით, მხოლოდ ის დევნილები, რომლებსაც თავის დროზე აღებული ჰქონდათ პირადობის მოწმობა და ამჟამად დაკარგული აქვთ, იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში, მისამართზე წერეთლის №67ა, დევნილის დროებით საბუთს მიიღებენ.

აღნიშნული ვრცელდება მხოლოდ გორის, ქურთის, ერედვის, თიღვის, ზნაურისა და ზოგადად ცხინვალის რეგიონის მოსახლეობაზე.

დევნილის დროებით საბუთს მოქალაქეები გამოიყენებენ პირადობის მოწმობების ნაცვლად, ვიდრე საკუთარ საცხოვრებელ ადგილებს დაუბრუნდებიან. შემდეგ დოკუმენტები ძალას დაკარგავს და დევნილებზე ჩვეულებრივ პირადობის მოწმობები გაიცემა.

გარდა ამისა, დღეიდან მხოლოდ ის დევნილები, რომელთაც დაკარგული აქვთ ბავშვის დაბადების მოწმობა, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში, მისამართზე წერეთლის №67ა, საქართველოს არქივიდან მიიღებენ დაბადების შესახებ ამონაწერს.

თბილისში, გარდაბანსა და რუსთავში კომპაქტურად ჩასახლებულები რეგისტრაციას გაივლიან ადგილზე. მათი ადგილზე ყოფნა სავალდებულოა. ხოლო კომპაქტურად ჩასახლებულ პუნქტებში მცხოვრები დევნილი მოსახლეობა, სადაც მობილური ჯგუფები ჯერ არ მისულან, სამოქალაქო რეესტრს უნდა დაუკავშირდნენ ცხელ ხაზზე № 17 22 22.

რაც შეეხება, დევნილებს, რომლებიც ახლობლებთან ცხოვრობენ, ისინი რეგისტრაციას კვლავ გაივლიან სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ცენტრალურ ოფისში, მისამართზე თბილისი, წერეთლის გამზირი №67ა.

# ორი კვირაა ნაწრეტს ჰუმანიტარული დახმარება არ მიუღია

**სოფელ ნაწრეტის მოსახლეობა ჰუმანიტარულ დახმარებას ითხოვს.**

**როგორც ადგილობრივები აცხადებენ, ბოლო 10-12 დღის განმავლობაში ამ სოფელს არ მიწოდებია არავითარი პროდუქტი, დეფიციტია მედიკამენტებიც.**

მათივე თქმით, სოფელში, ძირითადად, ხანში შესული ადამიანები არიან დარჩენილები, რომლებმაც არ მიატოვეს. სოფელი ჰუმანიტარული ტვირთის შეტანას ითხოვს.

აღსანიშნავია, რომ სოფლის მაღლობები რუსებს პოლიგონად აქვთ ქცეული. სოფლის მცხოვრებლების ინფორმაციით, იქ მობილიზებულია 450-500 ერთეული მძიმე სამხედრო ტექნიკა.

**ინტერპრესნიუსი**

**ვაჟა ნადირაშვილი, მურმან რუხაძე, ჯემალ ღონღაძე, ლერი კობალავა, ვარლამ აბულაშვილი, დალი კიკნაძე, ელენე ხარაბაძე, ნელი თექაძე, ნუნუ საათაშვილი იუწყებიან უახლოესი მეგობრის**

**ენვერ მამასახლისის**

**გარდაცვალებას.**

**2008 წლის 19 ივლისისა და 19 აგვისტოს ნომრებში გამოქვეყნდა შპს „ჩვილ ბავშვთა სახლის“ განცხადება საზოგადოებათა შერწყმის შესახებ, სადაც ჩამონათვალში გამორჩენილია შპს სენაკის ინვალიდ ბავშვთა პანსიონატი.**

მკვახე შეძახილი

# ახლა გაახსენდა ხელისუფლებას ლადო ასათიანის ლექსები, გმირულ-ჰეროიკული ფილმები და პატრიოტული სიმღერები?



**ძალიან დააგვიანეთ, ბატონო ხელისუფალნო! ჯერ „ჯეობარებით“, უნიჭო სექს-შოუებით, გაევროპელებულ-გაამერიკელებული, უკანალების მოქანავე გოგო-ბიჭების მანჭვა-გრეხვით აავსეთ და ჩააბინძურეთ ტელეარხები, საქმე იქამდე მიიყვანეთ, რომ ყოველივე ქართულ-**



**სა და ეროვნულს „ქაჯობას“ ეძახის ყმაწვილი, ანუ „თინეიჯერი“, რომელსაც ყოველდღიური ანტიეროვნული ქმედებით, შენ ტვინს უბრუნებ, სამშობლოს წარსულს ავიწყებ და დღევანდელობისადმი ირონიულად განაწყობ.**

შემოვარდა რუსი, დაბომბა იმერ-ამერი, ვაჟკაცურად დახვდა რუსეთის აგრესიას ქართველი ჯარისკაცი... და შენ, ბატონო ხელისუფალო, ერის გასამხნევებლად, სისხლის ასაჩქროლებლად, დიდ-პატარის გულის გასამაგრებლად უცებ დაგჭირდა ლადო ასათიანის „სალალობო“, „თავს არ მოიკლავს ქართველი, არა“, ჯანსუღ ჩარკვიანის ლექსზე შექმნილი მამუკა ჩარკვიანის სიმღერა-ჰიმნი „თავისუფლება ლომთა ხვედრია“, საერთოდ, ბევრი სხვა ქართული პატრიოტული ლექსი და სიმღერა, გმირულ-ჰეროიკული ფილმები – „გიორგი სააკაძე“, „ბაშიაჩუკი“, „მაია წყნეთელი“ და სხვები, ერთი კვირაა, ყოველდღე რომ ატრიალებ...

ხომ საჭირო, ხომ მაგარი ყოფილა გაჭირვების ჟამს მამა-პაპის ვაჟკაცური შეძახილი? გვიან გაგახსენდა! ამ შეძახილს, ამ შემართებას, ყოველივე ქართულს, პატრიოტულ ლექსს, სიმღერას, ფილმს, სამწუხაროდ, უკვე იქედნურად ისმენს და უყურებს ინტერნეტში შემძვრალი და უცხოურ ცეკვა-სიმღერას გადაყოლილი ბევრი ახალგაზრდა!!.

**ვილენ მარდალეიშვილი**

## ძვირფასო მკითხველო!

ჩვენს გაზეთში თქვენთვის საჭირო განცხადების ან რეკლამის განსათავსებლად შეგიძლიათ ისარგებლოთ იმეილით ან ფაქსით. ინფორმაციის მიღებისთანავე დაგიკავშირდებათ ჩვენი რედაქციის წარმომადგენელი და მოგაწვდით ყველა საჭირო მონაცემს.

იმეილი: sakresp@ayety.ge
ტელეფონი: 98-65-87 (89932.85.76ძ.
ფაქსი: 98-65-87.

## რეკლამა

კოსტავას 12

„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-65-87; 899 32-85-76.

## ლიცენზირებული



ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტი აცხადებს მიღებას 2008-2009 სასწავლო წლისათვის ბაკალავრის და მაგისტრატურის I კურსზე და გადმოყვანის წესით II, III, IV კურსებზე ქართული და რუსული სექტორების შემდეგ სპეციალობებზე:

**ბაკალავრიატი**

1. ინგლისური ენა და ლიტერატურა, 2. გერმანული ენა და ლიტერატურა, 3. ფსიქოლოგია, 4. სამართალმცოდნეობა, 5. ჟურნალისტიკა, 6.ინფორმაციული ტექნოლოგიები, 7. დიზაინი და გამოყენებითი ხელოვნება, 8. საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმე, 9. საბაჟო საქმე, 10. საბუღალტრო და საგადასახადო საქმე, 11. ვაჭრობის ეკონომიკა, 12. პედაგოგიკა, 13. ხელოვნებათმცოდნეობა, 14. ტურიზმი.

**მაგისტრატურა**

1.ინგლისური (გერმანულიძ ენის მასწავლებელი, მთარგმნელი, 2. მათემატიკის მასწავლებელი და მეთოდისტი, 3. ქართულის მასწავლებელი და მეთოდისტი, 4. სამართალმცოდნეობა, 5. საბანკო საქმე, 6. საბუღალტრო აღრიცხვა, 7. ფსიქოლოგია, 8. ტურიზმის მენეჯერი.

სასწავლო პროცესს წარმართავს გამოცდილი და მაღალი კვალიფიკაციის მქონე 11 სრული პროფესორი, 18 ასოცირებული პროფესორი და 2 ასისტენტ-პროფესორი.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს მედპუნქტი, ავტოსკოლა, სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი. გამოდის გაზეთი „ილიას გზით“.

**უნივერსიტეტის რექტორია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ამირან მექვაბიშვილი.**

**ჩარიცხვა მოხდება გასაუბრების წესით. საბუთების მიღება იწყება განცხადების გამოქვეყნებისთანავე, მობრძანდით შემდეგ მისამართებზე: ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. №74, აგლაძის ქ. №37, IV სართული, ტელ: 93-66-03; 99-07-24, 899-18-89-24, 35-54-30, 36-28-34.**

**სრული ინფორმაციისათვის მობრძანდით ადგილზე.**

ჩვენებური

# თინა კანდელაკის თვალითა და ენა-პირით

**რუსეთელი ქართველი ტელევარსკვლავი ასე აღწერს შეხვედრებს საქართველოს პრეზიდენტთან:**



– ჩვენ რომ პირველად ვნახეთ ერთმანეთი (თუმცა მანამდე საერთო ნაცნობი ბევრი გვყავდაძ, სააკაშვილმა მითხრა, რომ ჩემს რადიოგადაცემებზე აღიზარდა და კარგად ახსოვს, თუ როგორ ვყვებოდი ეთერში... შავ ტრუსებსა და სხვა ქალიშვილურ ცელქობებზე.

ფრივოლური სურათები არ წარმოიდგინოთ, საკმაოდ მოზრდილი ადამიანი ვარ ნებისმიერი სიტუაციის გასაკონტროლებლად.

ჩვენი ღამის შეხვედრა ძალიან სერიოზულ პოლიტიკურ კამათში გადაიზარდა. **ჯერ კიდევ მაშინ მარწმუნებდა, რომ ისტორიულად ტოლფასია დავით აღმაშენებლისა. მე კი ვეუბნებოდი, რომ დავით აღმაშენებელმა ააყვავა საქართველო, სააკაშვილი კი ანგრევს.**

დიდხანს ვდავობდით და ასე ოთხი საათი ვაკვირდებოდი. ფსიქიატრი როდი ვარ, დიაგნოზები რომ დავსვა, მაგრამ ჰიპერტროფირებული პატივმოყვარეობა, ჰიპერტროფული თავმოყვარეობასა და ერთობ, რბილად რომ ვთქვათ, არამყარ ნერვულ სისტემაზე გადამრავლებული – არცთუ საუკეთესო მრჩევლებია პრეზიდენტისთვის.

რამდენიმე წლის შემდეგ როცა ჩამოვიდა მოსკოვში მიხეილ ნიკოლოზის ძე და მისი ვიზიტის აღსანიშნავად დახურული ვახშამი მოეწყო ბარში, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ მისთვის გამორჩეულობის სურვილი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ერთად აღებული მთელი ქართველი ხალხი.

სამი წლის წინათ კი სააკაშვილმა თავის რეზიდენციაში კვეხნით მითხრა, რომ საქართველოზე კიდევ ძალიან ბევრს ილაპარაკებენ. რას ვიფიქრებდი მაშინ, რომ ეს სიტყვები სწორედ ისე ასრულდებოდა, როგორც ახლა ხდება...

КОМСОМОЛЬСКАЯ ПРАВДА

## გეპატიჟებით!

1 და 2-ოთახიან ლუქსებში, ზემო წყნეთში, (რუსთაველის №35), ახალ სასტუმრო ჟურნალისტში, რომელიც მდებარეობს ტყის პირას. ყველა ოთახს აქვს ღია ვერანდა, ტელევიზორი, მაცივარი, ცივი და ცხელი წყალი. ტელეფონი: 22-15-83, 51-42-92, 45-31-37, 22-82-92, 899 77-28-54, 36-84-13.



კადრი




საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებლები
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „მაქსიმუმში“. 95-11-92
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.